შპს „ვი თი ჯგუფი“
2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო N 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge

თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვი თი ჯგუფის“ პარტნიორებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვი თი ჯგუფის“ (ს/ნ 205143824) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის მიერ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ინვესტიცია მის მეკავშირე საწარმოში შპს „ჯორჯიან ბლუბერი“. განხორციელებული ინვესტიცია აღირიცხება წილობრივი მეთოდის შესაბამისად, ასევე წილობრივი მეთოდის შესაბამისად განსაზღვრული მოგების წილი ამ მეკავშირე საწარმოდან ჩართულია ჯგუფის 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულ კონსოლიდირებულ მოგებაში. ჩვენ ვერ ვადასტურებთ ინვესტიციას შპს „ჯორჯიან ბლუბერი“-ში, რომელსაც აქვს საბალანსო ღირებულება 209,862 ლარი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (2023: 148,897 ლარი), რადგან შესაბამის მეკავშირე საწარმოში არ ჩატარებულა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ალტერნატიული პროცედურების მეშვეობით კი აღნიშნული მონაცემების შესახებ საიმედო რწმუნება ვერ იქნა მიღწეული. ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წილობრივი მეთოდის შესაბამისად აღრიცხული ინვესტიციებისა და მეკავშირე საწარმოებიდან ხვედრითი მოგების წილის მუხლებთან მიმართებით.

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგინა ინვესტიციები სხვა საწარმოებში (რომლებიც არ წარმოადგენენ არც შვილობილ, არც მეკავშირე და არც ასოცირებულ საწარმოებს), განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა 2024 წლის ბოლოს არის 781,367 ლარი (2023: 634,117 ლარი). აღნიშნული თანხა წარმოადგენს ამ საწარმოების ნეტო აქტივებში ჯგუფის წილს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოცემული სიდიდე ასახავს აღნიშნული ინვესტიციების სამართლიან ღირებულებას, მაგრამ მენეჯმენტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი შეფასების ანგარიში ამ ინვესტიციებთან დაკავშირებით. შესაბამისად ჩვენ ვერ ვადასტურებთ მოყვანილ რიცხვს იმის გამო, რომ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, თუ რა იქნებოდა ამ აქტივების სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის გაყიდვა რომ მომხდარიყო მიმდინარე საბაზრო პირობებში ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციების შედეგად.

ჯგუფმა 2024 წელს განახორციელა ბიტუმის წარმოების ბიზნეს-კომპონენტის რეალიზაცია საკუთარ მეკავშირე საწარმოზე. ტრანზაქცია აღწერილია კონსოლიდირებული ანგარიშგების შენიშვნა 10-ში. რეალიზებული აქტივების არსებით კომპონენტს შეადგენს გასაყიდად გამიზნული აქტივები ღირებულებით 961,399 ლარი და მარაგები საბალანსო ღირებულებით 77,597 ლარი, რისთვისაც ჯგუფმა მიიღო წმინდა გასამრჯელო გადასახადების გამოკლებით 4,801,813 ლარი. ჩვენ ვერ ვადასტურებთ მოყვანილი რიცხვის შესაბამისობას გასაყიდად გამიზნული აქტივების სამართლიან ღირებულებასთან, რადგან ტრანზაქცია განხორციელებული იყო დაკავშირებულ მხარესთან და ჯგუფს არ გაუკეთებია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გასაყიდად გამიზნული აქტივების შეფასება. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ ტრანზაქციასთან მიმართებით.

ჯგუფი ფლობს საინვესტიციო ქონებას, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია თვითღირებულებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 956,675 ლარი (2023: 892,031 ლარი). *გასს 40 საინვესტიციო ქონება* მოითხოვს სამართლიანი ღირებულების გამჟღავნებას საინვესტიციო ქონებისთვის, რომელიც აღრიცხულია თვითღირებულებით. ჯგუფმა არ მოახდინა საინვეტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება, რაც წარმოადგენს გადახვევას ამ სტანდარტის მოთხოვნებიდან.

ჩვენ ვერ დავესწარით მარაგების ინვენტარიზაციას, რომლის ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 396,298 ლარს (2023: 232,585 ლარი), რადგან ჯგუფის აუდიტორად ჩვენი დანიშვნა მოხდა 2025 წლის 12 აპრილს. ჩვენ ასევე ვერ შევძელით მარაგების რაოდენობის ალტერნატიული გზებით დადასტურება. შედეგადნ ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა პოტენციური კორექტირების არსებობის შესაძლებლობა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მარაგებთან და დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ კოსნოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილს.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA კოდექსის და ამ ნორმებით

გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია შედგება კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგებისგან (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას მასზე).

ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ წავიკითხოთ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება და ამით განვსაზღვროთ, არის თუ არა კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტში მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვანაირად ხომ არ არის არსებითად მცდარი.

დამატებით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების ნაწილების შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება ისინი შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში არსებითი შეცდომაა, ჩვენ მოგვეთხოვება აღნიშნული ფაქტის წარდგენა.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, გარდა იმ საკითხების შესაძლო ეფექტებისა, რომლებიც აღწერილია ჩვენი დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველის ნაწილში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- იმ ფინანსური წლის კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა მომზადებული, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; და

- კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება შეიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი ჯგუფის საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების

საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს-საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის მიზნებისთვის ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუდასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 41

24 ოქტომბერი 2025 წელი

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
განგრძობითი ოპერაციები			
ამონაგები	11	6,947,402	9,948,925
შემოსავალი იჯარებიდან	11	305,715	220,484
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	12(ა)	(5,598,731)	(6,420,283)
საერთო მოგება		**1,654,386**	**3,749,126**
ადმინისტრაციული ხარჯები	12(ბ)	(2,555,647)	(2,424,381)
მიწოდების და სხვა საოპერაციო ხარჯები	12(გ)	(19,708)	(44,001)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**(920,969)**	**1,280,744**
ფინანსური შემოსავალი	13	300,843	145,757
ფინანსური ხარჯი	13	(787,861)	(543,252)
წმინდა ფინანსური ხარჯი		**(487,018)**	**(397,495)**
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში მოგების წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)	17	3,402,727	2,660,444
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12(დ)	259,929	402,972
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(53,392)	(88,639)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**2,201,277**	**3,858,026**
მოგების გადასახადის ხარჯი	23(ბ)	(252,382)	(134,995)
მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		**1,948,895**	**3,723,031**
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან (მოგების გადასახადის გათვალისწინებით)	10	2,163,620	-
სულ წლის სრული მოგება		**4,112,515**	**3,723,031**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეებს		4,031,545	3,686,964
არამაკონტროლებელ წილებს		80,970	36,067

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დირექტორი	ფინანსური დირექტორი
ლევან გოგია	ალეკო სარქისოვი

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	14	19,200,108	19,409,753
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	10	-	961,399
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	14	227,500	-
არამატერიალური აქტივი		41,320	37,012
საინვესტიციო ქონება	15	956,675	892,031
აქტივის გამოყენების უფლება	16	861,921	961,159
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	17	1,769,118	3,119,037
ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში	18	781,367	634,117
გრძელვადიანი აქტივები		**23,838,009**	**26,014,508**
მარაგები	19	396,298	232,585
სავაჭრო მოთხოვნები	20	264,289	277,547
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	21	322,996	265,784
ფული და ფულის ეკვივალენტები	22	3,416,570	1,491,898
მოკლევადიანი აქტივები		**4,400,153**	**2,267,814**
სულ აქტივები:		**28,238,162**	**28,282,322**
კაპიტალი	23		
განთავსებული კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		19,481,202	18,165,446
მესაკუთრეთა კაპიტალი		**19,483,202**	**18,167,446**
არამაკონტროლებელი წილი	24	498,632	317,662
კაპიტალი სულ:		**19,981,834**	**18,485,108**
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	25	4,977,060	5,729,898
საიჯარო ვალდებულება	16	900,371	970,774
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		**5,877,431**	**6,700,672**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	25	913,533	1,355,599
საიჯარო ვალდებულება	16	204,925	202,826
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11	989,687	831,931
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26	270,752	706,186
ვალდებულებები სულ:		**8,256,328**	**9,797,214**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		**28,238,162**	**28,282,322**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დირექტორი	ფინანსური დირექტორი
ლევან გოგია	ალეკო სარქისოვი

ლარი

	შენიშვნა	კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		**2,000**	**15,931,114**	**15,933,114**	**351,595**	**16,284,709**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში გადაანგარიშებული			3,686,964	3,686,964	36,067	3,723,031
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან						
კაპიტალის შემცირება		-	-	-	(70,000)	(70,000)
გამოცხადებული დივიდენდები		-	(1,452,632)	(1,452,632)	-	(1,452,632)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს გადაანგარიშებული		**2,000**	**18,165,446**	**18,167,446**	**317,662**	**18,485,108**

ლარი

	კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს გადაანგარიშებული	**2,000**	**18,165,446**	**18,167,446**	**317,662**	**18,485,108**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	4,031,545	4,031,545	80,970	4,112,515
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან					
კაპიტალის ზრდა	-	-	-	100,000	100,000
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,715,789)	(2,715,789)	-	(2,715,789)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**2,000**	**19,481,202**	**19,483,202**	**498,632**	**19,981,834**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დირექტორი
ლევან გოგია

ფინანსური დირექტორი
ალეკო სარქისოვი

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
ლარი			
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		7,572,781	11,656,857
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(3,542,595)	(4,043,166)
გაცემული შრომის ანაზღაურება		(3,317,671)	(2,518,276)
გადახდილი გადასახადები (მოგების გ-დის გარდა)		(1,859,054)	(410,891)
გადახდილი მოგების გადასახადი		(120,743)	(256,347)
სხვა გაცემები საოპერაციო საქმიანობიდან		(27,763)	(58,948)
ფულადი სახსრები წმინდა (შემცირება)/ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,295,045)**	**4,369,229**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირ. საშუალებებისა და არამატ. აქტივების შეძენა		(516,703)	(10,059,469)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან შემოსავალი		5,763,765	-
ძს გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ-ის გადახდა		(835,354)	
მიღებული პროცენტები		264,761	4,331
მიღებული დივიდენდები		-	312,665
მეკავშირე საწარმოში კაპიტალის შემცირებით მიღებული ფულადი სასრები		21,462	-
ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში		(160,264)	-
მიღებული მოგების წილი მეკავშირე საწარმოდან		3,145,000	1,748,684
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება) საინვესტიციო საქმიანობიდან		**7,682,667**	**(7,993,789)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება		300,000	5,178,000
სესხების დაფარვა		(1,423,456)	(267,902)
გადახდილი იჯარა		(206,758)	(165,450)
გადახდილი პროცენტები		(708,413)	(580,740)
პროცენტის ანაზღაურება გრანტი		199,123	-
გადახდილი დივიდენდები (საშ. გ-დის ჩათვლით)		(2,715,789)	(1,452,632)
ტრანზაქციები არამაკონტროლებელ წილთან (კაპიტალის შევსება)		100,000	140,000
ტრანზაქციები არამაკონტროლებელ წილთან (კაპიტალის შემცირება)		-	(210,000)
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა საფინანსო საქმიანობიდან		**(4,455,293)**	**2,641,276**
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/(კლება) (ნეტო)		(7,658)	(891)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება):		**1,932,329**	**(983,284)**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) წლის დასაწყისისათვის:		**1,491,899**	**2,476,073**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) წლის ბოლოსათვის:		**3,416,570**	**1,491,898**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დირექტორი	ფინანსური დირექტორი
ლევან გოგია	ალეკო სარქისოვი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:

1. ანგარიშვალდებული საწარმო 13
2. შეფასების საფუძველი 14
3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ 14
4. აღრიცხვის საფუძველი 28
5. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა 29
6. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება 29
7. სამართლიანი ღირებულებების შეფასება 29
8. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული 30
9. ცვლილებები წარდგენაში და გადაანგარიშება. 30
10. შეწყვეტილი ოპერაციები და გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები 32
11. ამონაგები 34
12. შემოსავალი და ხარჯები 36
13. წმინდა ფინანსური ხარჯები 37
14. ძირითადი საშუალებები: 38
15. საინვესტიციო ქონება 39
16. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვადებულება 40
17. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 42
18. ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში 43
19. მარაგები 43
20. სავაჭრო მოთხოვნები 43
21. გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები 43
22. ფული და ფულის ეკვივალენტები 44
23. განთავსებული კაპიტალი და რეზერვები 44
24. არამაკონტროლებელი წილები 45
25. სესხები და კრედიტები 46
26. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 48
27. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა 49
28. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები 53
29. შვილობილი კომპანიები 55
30. დაკავშირებული მხარეები 54
31. შემდგომი მოვლენები 55

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) საწარმო და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს **შპს „ვი თი ჯგუფის“** (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად წოდებული „ჯგუფი“, ცალ-ცალკე „ჯგუფში შემავალი საწარმოები“) ფინანსურ ანგარიშგებებს, შენიშვნა 29-ში აღწერილის შესაბამისად.

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და იურიდიული პირის სახით 2006 წლის 13 აპრილს დარეგისტრირდა ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ. კარტოზიას ქ. N 6, ბ. 3., ხოლო კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205143824. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

შპს „ვი თი ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობაა აქტივების ფლობა და გაქირავება შვილობილ კომპანიებზე, მეკავშირე საწარმოებზე და ასევე მესამე არადაკავშირებულ მხარეებზე. ჯგუფის საწარმოების ძირითადი საქმიანობაა: თბილისის და ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლების ფლობა და მართვა, სატრანსპორტო მომსახურება და ასევე ბიტუმის წარმოებასთან დაკავშირებული ნედლეულის იმპორტი და რეალიზაცია.
ჯგუფმა 2024 წლის იანვარში ბიტუმის წარმოების და გადამუშავების ბიზნეს-კომპონენტი გაყიდა საკუთარ მეკავშირე საწარმოზე, იხილეთ კონსოლიდირებული ანგარიშგების შენიშვნა 10.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ვი თი ჯგუფის“ პარტნიორებს წარმოადგენენ:

- ლევან გოგია (პ/ნ 01024020629) - 50%;
- თეიმურაზ გაბელია (პ/ნ 01025008517) - 35%;
- ირაკლი გოგია (პ/ნ 01024020630) - 15%.

ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი კომპანია ან ინდივიდუალური პირი.
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 30-ე შენიშვნაში.

(ბ) საქართველოს ბიზნეს-გარემო

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას. ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი საწარმოებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს-გარემოში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს-გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და

ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს- გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(გ) რუსეთ-უკრაინის ომი

ომს უარყოფითი გავლენა აქვს გლობალურ ეკონომიკაზე რაც გამოიხატება სასაქონლო ფასების ზრდაში, ნავთობის, გაზის, ქვანახშირის დეფიციტში, ბიზნეს-საქმიანობის შეფერხებაში და ა.შ. ჯგუფზე მნიშვნელოვანი პირდაპირი გავლენა არ აქვს უკრაინაში, რუსეთსა და ბელარუსში მიმდინარე მოვლენებს.
ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება ჯგუფის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ჯგუფის საქმიანობაზე, რადგან გაურკვევლობაა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოებებში.

2. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. რომელიც შეცვლილია რეალური ღირებულებით ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების დროს.

ხელმძღვანელობამ ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე.

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ჯგუფი თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) არამაკონტროლებელი წილები
არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის.

შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება საკუთარი კაპიტალის ოპერაციების სახით.

(ii) შვილობილი კომპანიები
შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. გარდა საერთო კონტროლის გარიგებებისა, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილზე

მიკუთვნებადი ზარალი მიკუთვნებულია არამაკონტროლებელ წილებზე, მიუხედავად იმისა, იწვევს ეს არამაკონტროლებელი წილის უარყოფით (დეფიციტურ) ნაშთს თუ არა.

(iii) მონაწილეობა მეკავშირე საწარმოებში

ჯგუფს გააჩნია ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში. მეკავშირე საწარმოებია ისინი, რომლებზეც ჯგუფს გააჩნია არსებითი გავლენა მაგრამ არა კონტროლი. არსებითი გავლენა, როგორც წესი, არსებობს მაშინ, როდესაც ჯგუფი ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას მეკავშირე საწარმოში. მეკავშირე საწარმოში არსებული ინვესტიცია აღრიცხულია წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს ტრანზაქციის ღირებულებას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს მეკავშირე საწარმოს სრული მოგების ან ზარალის შესაბამის წილს ყველა შესაბამისი კორექტირების გათვალისწინებით და იმ დღიდან, როდესაც მოხდა მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის განხორციელება.

(iv) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები ელიმინირდება. არარეალიზებული ამონაგები, რომელიც წარმოიშვება ინვესტიციებიდან წილობრივი მეთოდით აღრიცხულ საწარმოებში, ელიმინირდება ინვესტიციის საპირწონედ ინვესტირებულ საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად.

(ბ) შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაციები არის ჯგუფის ბიზნესის კომპონენტი, რომლის ოპერაციები და ფულადი ნაკადები შეიძლება ნათლად გამოიყოს ჯგუფის დანარჩენი ნაწილისგან და რომელიც:

- წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი შვილობილი საწარმო.

შეწყვეტილ ოპერაციად კლასიფიკაცია ხდება გაყიდვის თარიღისა და შესაბამისი ოპერაციის მიერ შეწყვეტილ ოპერაციად დაკმაყოფილების შორის უადრეს თარიღში. როდესაც ოპერაცია კლასიფიცირებულია შეწყვეტილ ოპერაციად, მაშინ შესადარისი მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება უნდა იქნეს გადაანგარიშებული ისე, რომ შესადარისი პერიოდის დასაწყისიდან ინფორმაცია ასახავდეს შეწყვეტილი ოპერაციის შედეგებს.

(გ) ამონაგები

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება, წარმოდგენილია შენიშვნაში 11.

(დ) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე;
- საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი;

ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო ამონაგები ან ხარჯი გამოითვლება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:
– ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
– ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;
საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ რა მიმართულებით აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის მიმართულებით.

(ე) დასაქმებულთა გასამრჯელოები
დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ვ) მოგების გადასახადი
2017 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან. 2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები საფინანსო ინსტიტუტებისთვის მოქმედი კორპორაციული გადასახადის მოდელში, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საფინანსო დაწესებულებების ნაწილი „ესტონურ“ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავიდა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე/მესაკუთრეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ედი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და მოგების გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც საგადასახადო ხარჯს, მოგების გადასახადის გარდა.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის (განსაკუთრებული აქტივების შემთხვევაში), აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით. თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივები სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულებიდან. ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში კლებად ნაშთთა მეთოდით, ქვემოთ ცხრილში ნაჩვენები პროცენტების მიხედვით, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას (CIP) ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო საშუალო სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და წინა პერიოდებში, შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	50 წელი (2%);
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10 წელი (10%);
მანქანა-დანადგარები	5 წელი (20%);
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	5 წელი (20%);
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი (20%).

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(თ) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს უძრავ ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნით.

(i) აღიარება და შეფასება

საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი

და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის (განსაკუთრებული აქტივების შემთხვევაში), აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას თუ საინვესტიციო ქონების ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება საინვესტიციო ქონების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ სავარაუდოა, რომ იგი უზრუნველყოფს კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება. ფასდება ინდივიდუალური აქტივების მნიშვნელოვანი კომპონენტები და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება. ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში კლებად ნაშთთა მეთოდით გამოყენებით,საინვესტიციო ქონების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის შენობების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაა 50 წელი. ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს შემდეგ კატეგორიებში აკლასიფიცირებს:
ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით;
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები, სესხები და მოთხოვნები; და
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები.
ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, გადასახდელ დივიდენდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ

დაკავშირებული გარიგების ხარჯები. მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს-მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს. ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:
– აქტივი განეკუთვნება ბიზნეს-მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
– მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ფინანსური აქტივები ბიზნეს მოდელის შეფასება:

ჯგუფი აფასებს იმ ბიზნეს-მოდელის მიზანს, რომლის ფარგლებშიც არის ფლობილი ფინანსური აქტივი პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის გზებს და ინფორმაცია მიწოდებულია ხელმძღვანელობისთვის. ფინანსური აქტივები შეფასდება იმისდა მიხედვით, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს:

ამ შეფასების მიზნებისთვის, „ძირი თანხა“ განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება მისი თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ განისაზღვრება როგორც ანაზღაურება ფულის დროითი ღირებულებისა და კონკრეტული დროის პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის და სხვა ძირითადი სასესხო რისკებისთვის და ხარჯებისთვის (ანუ ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოიცავს მოგების მარჟას.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ჯგუფი ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს ითვალისწინებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელიც შეცვლიდა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას და ვადებს, იმგვარად, რომ ის აღარ დააკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობას. აღნიშნული შეფასების დროს, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

– პირობითი მოვლენები, რომლებიც ფულადი ნაკადების ოდენობას ან ვადებს შეცვლიდნენ;
– პირობები, რომლებმაც შეიძლება კუპონის სახელშეკრულებო განაკვეთი შეცვალონ, მათ შორის ცვლადი განაკვეთის ფუნქციები;
– გადახდილი ავანსის და გახანგრძლივების პირობები; და

– პირობები, რომლებიც ზღუდავს ჯგუფის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (ანუ ფუნქციები რეგრესის უფლების გარეშე).

გადახდილი ავანსის ფუნქცია შეესაბამება მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის კრიტერიუმს, თუ წინასწარ გადახდილი თანხის ოდენობა, ძირითადად, წარმოადგენს ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის დაუფარავ ოდენობებს, რაც შეიძლება მოიცავდეს გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ადრეული შეწყვეტისთვის.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება, ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.
საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:
– ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
– ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ

ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალ მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი აღიარებს ასეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, ანუ ბანკების მიერ, ეროვნული ბანკის მხრიდან საკვანძო განაკვეთებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წამოწყებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის უფლებას და ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, რომ ან მიიღოს გადახედილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი ნომინალური ღირებულებით, ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია პერსპექტიულად.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

– ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
– ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
– კონვერტაციის პირობის დამატება;
– ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური

ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ შემოსულობასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს. ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე, ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(კ) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს მესაკუთრეთა განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამს სადამფუძნებლო დოკუმენტების თანახმად.

(ლ) გაუფასურება

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე: ჯგუფი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი

შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:
– სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
– სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის რისკის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე ექსპერტის საკრედიტო შეფასებას და საპროგნოზო ინფორმაციას. ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობას მიიჩნევს მაშინ, როდესაც:
– არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის ფლობის შემთხვევაში); ან
– ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულია.
ჯგუფი მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში, თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

– ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
– ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობა ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
– ჯგუფის მიერ სესხის ან წინასწარ გადახდილი თანხების რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევებში არ განიხილავდა;
– მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
– ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია, როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივი 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია, ჯგუფი იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორაციული კლიენტებისთვის, ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან. ჯგუფის

კორპორაციული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის. ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არარსებობის შემთხვევაში.

(მ) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს. წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

(i) როგორც მოიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი მოდიფიცირების დროს, ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი

პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები, სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას ჯგუფს იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში, თუ „აქტივი გამოყენების უფლებით“ თვითღირებულება ასახავს ჯგუფის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს. ჯგუფი მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და საჭიროების შემთხვევაში, აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით. გარე წყაროები მოიცავს: კომერციულ ბანკებს საქართველოში და საქართველოს ეროვნულ ბანკს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული გადახდები, მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, რომლებიც თავდაპირველად დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით იქნა შეფასებული;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობები;
- აღსრულების ფასი შესყიდვის ოფციონის ფარგლებში, რომლის გამოყენებაშიც ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია; და
- საიჯარო გადახდები არასავალდებულო განახლების პერიოდის განმავლობაში თუ ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია, რომ გამოიყენებს გახანგრძლივების შესაძლებლობას და ჯარიმები იჯარის ნაადრევი შეწყვეტისთვის, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია, რომ არ შეწყვეტს ნაადრევად ხელშეკრულებას.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საიჯარო ვალდებულება ექვემდებარება დაკორექტირებას, როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების შედეგად, თუ ჯგუფი შეცვლის შეფასებას თანხების, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით, ან თუ ჯგუფი შეცვლის თავის შეფასებას იმის თაობაზე, გამოიყენებს თუ არა შეძენის,

გახანგრძლივების ან შეწყვეტის ოფციას, ან თუ შეიცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება გამოყენების უფლებით აქტივის საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში, თუ გამოყენების უფლებით აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. ჯგუფი აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები, როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის სამომავლო ბიზნეს-გეგმები, ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში. ჯგუფს არ აქვს იჯარები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მეიჯარე.

(ნ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება ეფუძნება „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და სხვა დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე.

(ო) ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

(პ) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

4. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (სრული „ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

5. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც საწარმო ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („GEL“). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში („GEL“), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და კონსოლიდირებულ განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ყველა თანხა ქართულ ლარშია, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

6. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

სრული ფასს-ების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად. ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:
– შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები;
– შენიშვნები 18 - ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში აღიარება და შეფასება

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შენიშვნაში 15 - საინვესტიციო ქონების შეფასება და ასევე შენიშვნა 18-ში ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში.

7. სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკის მუხლი და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:
– დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
– დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-/.ლ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
– დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.
სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:
– შენიშვნა 18 - ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში.
– შენიშვნა 27 - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

8. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში (ადრეული გამოყენება ნებადართულია), თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონია აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები გამოყენებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას:
– ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).
– მომწოდებელთა საფინანსო გარიგებები (ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები);
– საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ფასს 16-ის შესწორებები);
– გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).

9. ცვლილებები წარდგენაში და გადაანგარიშება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოვლენილი იქნა შეცდომები წინა წლის გამოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით. კერძოდ:

ა) 2023 წელს ჯგუფმა მოახდინა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და გადაითვალა საიჯარო ვალდებულება. ჯგუფმა არასწორად მოახდინა საიჯარო ვალდებულების და აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება მოდიფიკაციის თარიღისთვის. შესაბამისად ქვემოთ მოცემული ცხრილები აჩვენებს გადაანგარიშების შედეგად აღმოჩენილი უზუსტობებს და მათ კორექტირებას.

ბ) 2023 წლის ბოლოს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით ჯგუფმა შეათანხმა ბიტუმის გადამამუშავებელი საწარმოს გაყიდვა შპს „ჯი სი ჯი“-ზე, რომელიც წარმოადგენს შპს „ვი თი ჯგუფის“ მეკავშირე საწარმოს. გამომდინარე იქიდან, რომ გაყიდვის ტრანზაქცია სრულად იყო გადაწყვეტილი, მყიდველი იყო მოძიებული, ხოლო გარიგების დეტალები - შეთანხმებული, შესაბამისი აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია ბიტუმის გადამამუშავებელ საწარმოსთან, უნდა დაკლასიფიცირებულიყო ფასს 5-ის *„გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“*-ს შესაბამისად. ასევე ბიტუმის გადამუშავებასთან დაკავშირებული ბიზნეს-კომპონენტი უნდა ყოფილიყო გამოყოფილი როგორც შეწყვეტილი ოპერაცია. შესაბამისად აქ წარმოდგენილი კორექტირება ასახავს ბიტუმის გადამუშავებასთან დაკავშირებული აქტივების რეკლასიფიკაციას გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებში.
ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 10 აჩვენებს გადაანგარიშებულ წარდგენას, იმის გათვალისწინებით, რომ ბიტუმის

რეალიზაციის ბიზნეს-კომპონენტი 2023 წლის ბოლოს უკვე წარმოადგენს შეწყვეტილ ოპერაციას.

გ) სხვა ყველა ქვემოთ წარმოდგენილი გადაანგარიშება წარმოადგენს რეკლასიფიკაციას კონსოლიდირებული ანგარიშგების მუხლების გაერთიანების შედეგად.

დ) მიმდინარე ფინანსურ წელს ჯგუფმა მოახდინა ცვლილებები წარდგენაში კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიმდინარე წარდგენა უფრო უკეთ წარმოაჩენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და მის კონსოლიდირებულ შედეგებს ჯგუფის ოპერაციებიდან და აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურიდან გამომდინარე.

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	გადაანგა-რიშებამდე	რეკლასი-ფიკაცია	გადაანგა-რიშებები	გადაანგარიშ-ებული	შენი შვნა
ლარი					
ამონაგები	10,169,409	(220,484)	-	9,948,925	გ
შემოსავალი იჯარებიდან	-	220,484	-	220,484	გ
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(6,225,492)	(194,791)		(6,420,283)	გ
მიწოდების ხარჯი	(51,991)	51,991	-	-	გ
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,101,698)	(322,683)		(2,424,381)	გ
მიწოდების და სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(44,001)		(44,001)	გ
სხვა საოპერაციო ხარჯები	(196,984)	196,984	-	-	გ
ფინანსური შემოსავალი	337,148	(191,391)	-	145,757	გ
ფინანსური ხარჯი	(535,042)	(8,210)	-	(543,252)	გ
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(8,210)	8,210	-	-	გ
მეკავშირე საწარმოებში მოგების წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)	2,660,444			2,660,444	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	405,109	191,391	(193,528)	402,972	ა
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(401,139)	312,500	-	(88,639)	გ
მოგების გადასახადი	(134,995)	-	-	(134,995)	
წმინდა მოგება	**3,916,559**	**-**	**(193,528)**	**3,723,031**	

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გადაანგა-რიშებამდე	რეკლასი-ფიკაცია	გადაანგა-რიშებები	გადაანგარიშ-ებული	შენი შვნა
ლარი					
ძირითადი საშუალებები	20,370,364	(960,611)	-	19,409,753	ბ
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	-	961,399	-	961,399	ბ
არამატერიალური აქტივი	37,800	(788)	-	37,012	გ
საინვესტიციო ქონება	892,031	-	-	892,031	
აქტივის გამოყენების უფლება	1,217,462	-	(256,303)	961,159	ა
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	3,119,037	-	-	3,119,037	
ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში	634,117	-	-	634,117	

გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	-	265,784	-	265,784	გ
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	151,867	(151,867)	-	-	გ
საგადასახადო აქტივები	56,158	(56,158)	-	-	გ
სხვა მიმდინარე აქტივები	57,759	(57,759)	-	-	გ
მარაგები	232,585	-	-	232,585	
სავაჭრო მოთხოვნები	277,547	-	-	277,547	
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,491,898	-	-	1,491,898	
სულ აქტივები	**28,538,625**	**-**	**(256,303)**	**28,282,322**	

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**გადაანგა-რიშებამდე**	**რეკლასი-ფიკაცია**	**გადაანგა-რიშებები**	**გადაანგარიშე-ბული თანხა**	
ლარი					
სავაჭრო ვალდებულებები	546,265	(546,265)	-	-	გ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		706,186	-	706,186	გ
საგადასახადო ვალდებულებები	15,847	(15,847)	-	-	გ
სახელშეკრულებო ვალდებულებები	831,931	-	-	831,931	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	133,485	(133,485)	-	-	გ
სესხები	7,085,497	-	-	7,085,497	
საიჯარო ვალდებულება	1,246,964	(10,589)	(62,775)	1,173,600	ა
სულ ვალდებულებები	**9,859,989**	**-**	**(62,775)**	**9,797,214**	

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**გადაანგარ-იშებამდე**	**რეკლასი-ფიკაცია**	**გადაანგა-რიშებები**	**გადაანგარიშე-ბული თანხა**	
ლარი					
განთავსებული კაპიტალი	2,000	-	-	2,000	
გაუნაწილებელი მოგება	18,291,239	-	(125,793)	18,165,446	ა
არამაკონტროლებელი წილი	385,397	-	(67,735)	317,662	ა
სულ კაპიტალი	**18,678,636**		**(193,528)**	**18,485,108**	

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღწერილი გადაანგარიშებები შეეხო მხოლოდ 2024 წლის შესადარის ინფორმაციას და არ ჰქონია ეფექტი წინა პერიოდებზე. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღარ იქნა წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარების შესახებ შესადარისი პერიოდის საწყის საბალანსო ნაშთებზე.

10. შეწყვეტილი ოპერაციები და გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

2024 წლის იანვარში შპს „ვი თი ჯგუფმა“ გაყიდა ბიტუმის წარმოებასთან დაკავშირებული მთლიანი ბიზნეს-კომპონენტი თავის მეკავშირე საწარმო შპს „ჯი სი ჯი“-ზე. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა, რათა ჯგუფს მეტი ყურადღება გაემახვილებინა ჯგუფში შემავალ სხვა ძირითად ბიზნეს-კომპონენტებზე, რომლებიც არის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება ბათუმის და თბილისის ქართულ ამერიკული სკოლების საშუალებით, ასევე სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების სერვისი და ქიმიური პროდუქციის იმპორტი და გაყიდვები. ბიტუმის წარმოებასთან დაკავშირებული ბიზნეს-კომპონენტი გაყიდვის მომენტში მოიცავდა ძირითად საშუალებებს და მარაგებს.

2023 წლის 31 დეკემბერს ბიტუმის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებები

არ იყო კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები ფასს 5 *„გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“*-ს შესაბამისად, ასევე არ იყო გამოყოფილი შეწყვეტილი ოპერაციების შედეგები. აქედან გამომდინარე, შესადარისი სრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ყველა შესაბამისი მუხლი იქნა გადაანგარიშებული და წარდგენა იქნა შეცვლილი, რომ გამოცალკევებულად ასახულიყო შეწყვეტილი ოპერაციები განგრძობითი ოპერაციებიდან და ასევე სწორად ასახულიყო ფაქტი, რომ 2023 წლის ბოლოს ბიტუმის წარმოებასთან დაკავშირებული ბიზნეს-კომპონენტი სრულად აკმაყოფილებდა ფასს 5 *„გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“*-ს შესაბამისად გასაყიდად გამიზნულ აქტივებად და შეწყვეტილ ოპერაციებად კლასიფიკაციას.

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
შედეგი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
ამონაგები		-	4,693,753
ხარჯები		-	(2,961,588)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები დაბეგვრამდე		**-**	**1,732,166**
მოგების გასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობების შედეგები დაბეგვრის შემდგომ		**-**	**1,732,166**
შეწყვეტილი ოპერაციის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა		2,163,620	-
მოგების გადასახადი შეწყვეტილი ოპერაციების გაყიდვიდან		-	-
მოგება/(ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან დაბეგვრის შემდეგ		**2,163,620**	**1,732,166**

მოგება 2,163,620 ლარის ოდენობით შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიეკუთვნება სრულად შპს „ვი თი ჯგუფის“ პარტნიორებს (2023: 1,732,166 ლარი). განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული მოგება 1.867,925 ლარის ოდენობით სრულად მიეკუთვნება კომპანიის პარტნიორებს (2023: 3,686,964 ლარი).

ლარი	2024	2023 გადაანგარიშებული
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები.		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	-	4,187,669
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან*	4,801,813	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან	-	-
წმინდა ფულად ნაკადები	4,801,813	4,187,669

შეწყვეტილი ოპერაციების გასვლის შედეგი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024
გასაყიდად გამიზნული აქტივები		961,399
მარაგები		77,597
წმინდა აქტივები და ვალდებულებები		1,038,996
მიღებული გასამრჯელო (ფული და ფულის ეკვივალენტების სახით)*		4,801,813
წმინდა ფულადი შემოსულობა		**4,801,813**

*მიღებული გასამრჯელო არის წმინდა გასამრჯელო დღგ-ის გამოკლებით.

11. ამონაგები

(ა) ამონაგების ნაკადები

ჯგუფი ამონაგებს აგენერირებს თბილისის და ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლის ფლობით და მართვით, ასევე ბიტუმის წარმოებით და რეალიზაციით. ჯგუფი ასევე გასწევს სატრანსპორტო მომსახურებას და დაკავებულია ბიტუმის წარმოებასთან დაკავშირებული ნედლეულის იმპორტით და რეალიზაციით. საქმიანობა ასევე მოიცავს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების იჯარით გაცემას.

ლარი	შენიშვნა	განრძობით ოპერაციებიდან 2024	განრძობით ოპერაციებიდან 2023 გადაანგარიშებული	შეწყვეტილი ოპერაციებიდან (იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 10) 2024	შეწყვეტილი ოპერაციებიდან (იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 10) 2023 გადაანგარიშებული	ჯამი 2024	ჯამი 2023 გადაანგარიშებული
ამონაგები საგანმანათლებლო მომსახურებიდან		4,540,125	3,068,247	–	–	**4,540,125**	**3,068,247**
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან		1,075,859	1,260,177	–	–	**1,075,859**	**1,260,177**
ამონაგები ბიტუმის ემულსიის რეალიზაციიდან		1,183,086	723,082	–	–	**1,183,086**	**723,082**
ამონაგები ბიტუმის გადამუშავებიდან		–	–	–	4,691,719	**-**	**4,691,719**
სხვა ამონაგები		148,332	205,700	–	–	**148,332**	**205,700**
ამონაგები სულ		**6,947,402**	**5,257,206**	-	**4,691,719**	**6,947,402**	**9,948,925**
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან (ფასს 16)		305,715	220,484	**–**	**–**	**305,715**	**220,484**

ჯგუფში შემავალი ყველა კომპანია ამონაგებს აგენერირებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფის შემოსავალი გეოგრაფიულად კონცენტრირებულია საქართველოში და ეხება საქართველოს გეოგრაფიული არეალის რისკები.

(ბ) სახელშეკრულებო ვალდებულება

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სახელშეკრულებო ვალდებულებისა მომხმარებლებთან, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის საგანმანათლებლო საქმიანობასთან.

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სახელშეკრულებო ვალდებულება		**989,687**	**831,931**

სახელშეკრულებო ვალდებულებები ძირითადად უკავშირდება წინასწარ მიღებულ თანხებს მომხმარებლებისგან განათლების სერვისის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, კერძო სკოლებისათვის ბათუმსა და თბილისში. შემოსავალი აღირიცხება დროთა

განმავლობაში. სახელშეკრულებო ვალდებულებას ჯგუფი აღიარებს ამონაგებში იმ დროს, როდესაც სკოლები უზრუნველყოფენ აღნიშნული განათლების მომსახურების გაწევას. არსებული სახელშეკრულებო ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოს რეალიზდება 12 თვის განმავლობაში (2023: არსებული სახელშეკრულებო ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბრის ბოლოს რეალიზდება 12 თვის განმავლობაში).

(გ) შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების პოლიტიკა

ამონაგები განისაზღვრება მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს იმ დროს, როდესაც ის გადასცემს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებელს.
ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან ხელშეკრულებებში შესრულების ვალდებულებების ხასიათისა და დაკმაყოფილების დროის შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით, ასევე შემოსავლის აღიარების დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ.

პროდუქტის ან სერვისი ტიპი	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	ამონაგების აღიარების პოლიტიკები
ამონაგები ბიტუმის ემულსიის გაყიდვიდან	ბიტუმის ემულსიის გაყიდვის ხელშეკრულებები მოიცავს პროდუქციის მიწოდებას. ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ, როცა კონტროლი გადადის კლიენტზე მიწოდებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას. გადახდა, ჩვეულებრივ, სრულდება 30–60 დღეში და არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს.	ბიტუმის ემულსიის გაყიდვებიდან შემოსავალი აღიარებულია მიწოდებისას, რადგან კონტროლი ერთჯერადად გადადის კლიენტზე. შემოსავალი აღიარებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის მიხედვით, ხოლო გადახდის პირობები მოკლევადიანია და არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს.
ამონაგები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს სასწავლო კურსის ან პროგრამის ჩატარებას. ვალდებულება დაკმაყოფილებულად მიიჩნევა მომსახურების გაწევის პროცესში, მოსწავლეებისთვის სასწავლო სესიის ან კურსის მიწოდების პარალელურად. გადახდა, როგორც წესი, სრულდება წინასწარ ან წლის განმავლობაში ფიქსირებული პერიოდულობით, კურსის განმავლობაში, და არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს.	საგანმანათლებლო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია ეტაპობრივად, კურსის მიწოდების პროცესში, რადგან სარგებელი მომხმარებელს გადაეცემა მომსახურების გაწევის პარალელურად. შემოსავალი აღიარებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის შესაბამისად, ხოლო გადახდის პირობები არ სცდება ჩვეულებრივ საკრედიტო პრაქტიკას. წინასწარ მიღებული თანხები, რომლებზეც არ არის მიწოდებული განათლების სერვისი აღიარებულია როგორც საკონტრაქტო ვალდებულება და როგორც წესი, წლის ბოლოს არსებული საკონტრაქტო ვალდებულების ნაშთთან დაკავშირებული საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგი 12 თვის განმავლობაში.
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან	სატრანსპორტო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ტვირთის ან მგზავრის გადაყვანას შეთანხმებულ მარშრუტზე. ვალდებულება დაკმაყოფილებულად მიიჩნევა მომსახურების დასრულებისას, ანუ	სატრანსპორტო მომსახურებიდან შემოსავალი აღიარებულია მომსახურების დასრულებისას, რადგან სარგებელი კლიენტს გადაეცემა მომსახურების გაწევის მომენტში. შემოსავალი აღიარებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად, ხოლო

	გადაზიდვის დასრულებისა და მიწოდების დადასტურების მომენტში.	გადახდის პირობები მოკლევადიანია.
	გადახდა, როგორც წესი, ხორციელდება მომსახურების გაწევიდან 30–60 დღეში და არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს.	

ჯგუფი ასევე აგენერირებს შემოსავალს ძირითადი საშუალებების მოკლევადიანი იჯარებიდან, რაც ხვდება ფასს 16-ის რეგულირების ფარგლებში. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს თანაბრად საიჯარო პერიოდის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

12. შემოსავალი და ხარჯები

(ა) რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
პირდაპირი მასალების ხარჯი		898,309	2,925,024
პირდაპირი ხელფასის ხარჯი		2,770,212	1,638,343
პირდაპირი ცვეთის ხარჯი		666,070	367,965
ტრანსპორტირება		389,355	445,600
დანარჩენი პირდაპირი ხარჯი		874,785	1,043,351
		5,598,731	**6,420,283**

(ბ) ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
თანამშრომელთა ანაზღაურება		1,576,137	1,569,162
კომუნალური ხარჯები		294,744	191,395
შიდაჯგუფური იჯარის ოპერაციებიდან წარმოშობილი არჩათვლილი დღგ-ის ხარჯი		129,478	77,958
ცვეთა		100,687	71,871
რემონტი		97,560	97,246
საკონსულტაციო ხარჯები		81,807	25,833
იჯარის ხარჯი - მოკლევადიანი იჯარები		42,462	75,139
წარმომადგენლობითი ხარჯები		36,150	50,120
საბანკო ხარჯები		26,737	16,637
აუდიტის ხარჯები		21,000	19,237
საგადასახადო ხარჯები		20,676	19,219
საკომუნიკაციო ხარჯები		14,284	16,532
სხვა ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები		113,925	194,032
		2,555,647	**2,424,381**

(გ) მიწოდების და სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
მარკეტინგი		19,676	41,933
სხვა		32	2,068
		19,708	**44,001**

(დ) სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
საპროცენტო ხარჯების ანაზღაურება სესხებზე და კრედიტებზე გრანტის შემოსავალი*		211,412	191,391
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან შემოსულობა		20,975	155,232
სხვა		27,542	56,349
		259,929	**402,972**

* პროცენტის ხარჯების ანაზღაურება წარმოადგენს, პროცენტის ანაზღაურებას ჯგუფის ნასესხებ სახსრებზე ბანკში, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში. გრანტის სახით მიღებული საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია ბრუტო თანხით.

ხარჯები შინაარსის მიხედვით მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში 12(ა), (ბ) და (გ).

13. წმინდა ფინანსური ხარჯები

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
საპროცენტო შემოსავალი ფულადი ეკვივალენტები		279,352	145,757
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა მოგება		21,491	-
ფინანსური შემოსავალი		**300,843**	**145,757**
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		-	8,210
საპროცენტო ხარჯი სესხებზე		649,408	451,850
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე		138,453	83,192
ფინანსური ხარჯები		**787,861**	**543,252**
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები		**(487,018)**	**(397,495)**

14. ძირითადი საშუალებები:

ლარი	შენიშვნა	მიწა და შენობა ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 1 იანვარი 2023-ის მდგომარეობით		8,852,817	1,118,020	1,175,051	185,750	1,145,356	-	**12,476,994**
დამატება		9,373,124	-	155,483	54,122	826,154	-	**10,408,883**
გასვლა		-	(68,817)	(55,815)	(13,903)	(2,250)	-	**(140,785)**
გასაყიდად გამიზნულ აქტივებში რეკლასიფიკაცია		(673,753)	(340,187)	(589,582)	(3,003)	(37,525)	-	**(1,644,050)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**17,552,188**	**709,016**	**685,137**	**222,966**	**1,931,735**	**-**	**21,101,042**
ნაშთი 1 იანვარი 2024-ის მდგომარეობით		17,552,188	709,016	685,137	222,966	1,931,735	-	**21,101,042**
დამატება		116,117	163,384	-	26,561	147,873	115,395	**569,330**
გასვლა		(212,857)	(56,327)	-	-	(23,972)	-	**(293,156)**
ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლა		115,395	-	-	-	-	(115,395)	**-**
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებაში		(79,266)	-	-	-	-	-	**(79,266)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**17,491,577**	**816,073**	**685,137**	**249,527**	**2,055,636**	**-**	**21,297,950**
ცვეთა და გაუფასურება								
ნაშთი 1 იანვარი 2023-ის მდგომარეობით		374,269	401,781	605,897	80,539	571,988	-	**2,034,474**
ცვეთა წლის განმავლობაში		92,177	70,355	104,932	25,938	130,517	-	**423,919**
გასვლა			(35,252)	(38,435)	(9,348)	(1,418)	-	**(84,453)**
გასაყიდად გამიზნულ აქტივებში რეკლასიფიკაცია		(94,174)	(142,290)	(424,333)	(2,039)	(19,815)	-	**(682,651)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**372,272**	**294,594**	**248,061**	**95,090**	**681,272**	**-**	**1,691,289**
ნაშთი 1 იანვარი 2024-ის მდგომარეობით		372,272	294,594	248,061	95,090	681,272	-	1,691,289
ცვეთა წლის განმავლობაში		264,090	51,342	88,559	26,969	213,885	-	644,845
გასვლა		(212,857)	(5,982)	-	-	(19,453)	-	(238,292)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**423,505**	**339,954**	**336,620**	**122,059**	**875,704**	**-**	**2,097,842**
საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**8,478,548**	**716,239**	**569,154**	**105,211**	**573,368**		**10,442,520**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაანგარიშებული		**17,179,916**	**414,422**	**437,076**	**127,876**	**1,250,463**		**19,409,753**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**17,068,072**	**476,119**	**348,517**	**127,468**	**1,179,932**		**19,200,108**

(ა) უზრუნველყოფა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 4,340,805 ლარი და საინვესტიციო ქონება საბალანსო ღირებულებით 843,685 ლარი დატვირთულია იპოთეკით „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ. ასევე „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ არსებობს ირაკლი გოგიას, ლევან გოგიას და თეიმურაზ გაბელიას თავდებობები. ასევე „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ დაგირავებულია შპს „ვი თი ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული წილი შპს „ბათუმის ქართულ ამერიკულ სკოლა“-ში.
(2023 წლის განმავლობაში ჯგუფის უძრავი ქონება, რომლის საბალანსო ღირებულება 31.12.2023 წ.-ის მდგომარეობით არის 17 269 877 ლარი, დაგირავებული იყო „საქართველოს ბანკიდან“ მიღებული სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად).

(ბ) გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები არის 227,500 ლარი და წარმოადგენს შპს „აქტივ გრუპისთვის“ გადახდილ ავანსს ჯგუფის მიერ ახალი სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმში (2023: 0 ლარი).

15. საინვესტიციო ქონება

ლარი	Note	მიწა და შენობა ნაგებობები
თვითღირებულება		
ნაშთი 1 იანვარი 2023-ის მდგომარეობით		2,429,989
დამატება		12,632
გასვლა		(1,475,985)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**966,636**
ნაშთი 1 იანვარი 2024-ის მდგომარეობით		966,636
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებაში		79,266
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**1,045,902**
ცვეთა და გაუფასურება		
ნაშთი 1 იანვარი 2023-ის მდგომარეობით		61,723
ცვეთა წლის განმავლობაში		12,882
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**74,605**
ნაშთი 1 იანვარი 2024-ის მდგომარეობით		**74,605**
ცვეთა წლის განმავლობაში		14,622
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**89,227**
საბალანსო ღირებულება		
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**2,368,266**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**892,031**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**956,675**

(ა) საინვესტიციო ქონების აღწერა

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფლობილი შენობების ნაწილს, რომლებიც გაქირავებულია მესამე მხარეებზე.

(ბ) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება

2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ჯგუფმა მოახდინა დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ საინვესტიციო ქონების შეფასება და გამოყენებული იქნა დასაშვები საწყისი ღირებულების მეთოდი. შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები, ფასს 13-ის პრინციპების შესაბამისად. საინვესტიციო ქონების შესაფასებლად გამოყენებულია გაყიდვების შედარების მეთოდი. ჯგუფმა შეფასებული სამართლიანი ღირებულება გამოიყენა, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება და დარჩა თვითღირებულების მოდელზე. ჯგუფი იყენებს შემცირებად ნაშთთა მეთოდს და შენობა-ნაგებობებისთის გამოყენებული აქვს წლიური 2%.

შესადარისი გაყიდვების (შედარების) მეთოდი დაფუძნებულია შესადასებელი ობიექტის ანალოგიურ ობიექტთან შედარებაზე, რომლებზეც შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება ფასებთან და გარიგებებთან დაკავშირებით. ანუ, იგი დაფუძნებულია პრინციპზე, რომ ინვესტორი არ გადაიხდის ქონების შეძენაში იმაზე მეტს, რაც ღირს შესადარისი ელემენტების მიხედვით ანალოგიური ობიექტი.

უძრავი ქონების შეფასება შესადარისი გაყიდვების მეთოდით მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- შესაფასებელი ობიექტის ანალოგიური ობიექტების გაყიდვებისა და შეთავაზებების მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს;
- შესაფასებელ ობიექტთან ანალოგიური ობიექტების შედარებას სხვადასხვა პარამეტრებით (ადგილმდებარეობა, ფიზიკური მახასიათებლები, გაყიდვების პირობები და სხვ.);
- ფასების კორექტირებას შესაფასებელ ობიექტთან თითოეული ანალოგიური ობიექტის განსხვავებების გათვალისწინებით;
- კორექტული ფასების ანალიზის საფუძველზე შესაფასებელი ობიექტის ღირებულების განსაზღვრას.

2024 და 2023 წლის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონებად აღიარებული შენობა-ნაგებობები მდებარეობს ქ. ბათუმში. შემოსავლიანი აქტივები მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შორის იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც საჭიროა იჯარის გენერირების მიზნით.

სამართლიანი ღირებულება არ განსხვავდება არსებითად საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებისგან.

16. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვადებულება

(ა) იჯარები როგორც მოიჯარე

ჯგუფი იჯარით იღებს ბათუმის სკოლის შენობას. საიჯარო ხელშეკრულება ლარშია დენომინირებული. განსაზღვრული საიჯარო ვადა არის 10 წელი. საიჯარო გადახდები დადგენილია საიჯარო ხელშეკრულებაში. ჯგუფი ფართოდ განმარტავს საიჯარო ხელშეკრულებაში იჯარის სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის დადგენისას, ჯგუფი ამყარებს მის მსჯელობას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ ფაქტორები, როგორებიცაა

ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან დაკავშირებით და რეგულაციის მოსალოდნელი ცვლილებები, ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში. იჯარისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით იჯარის აღიარების და/ან მოდიფიცირების თარიღისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, მომავალი საიჯარო გადახდების დისკონტირებისთვის გამოყენებული განაკვეთი იყო დაახლოებით 11%. ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც ჯგუფი მოიჯარის სახით მოქმედებს, წარმოდგენილია ქვემოთ:

(ბ) აქტივები გამოყენების უფლებით

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
თვითღირებულება			
ნაშთი 1 იანვარი		1,374,682	671,403
მოდიფიკაცია		-	703,279
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით		**1,374,682**	**1,374,682**
ცვეთა და გაუფასურება			
ნაშთი 1 იანვარს		(413,523)	(329,206)
ცვეთა წლის განმავლობაში		(99,238)	(84,317)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით		**(512,761)**	**(413,523)**
საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერს		**861,921**	**961,159**

(ბ) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე		138,453	83,192
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები		42,462	75,139
		180,915	**158,331**

(გ) საიჯარო ვალდებულება მოძრაობა

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
საიჯარო ვალდებულების ძირი			
ნაშთი 1 იანვარს		1,173,600	569,922
საიჯარო ვალდებულების მოდიფიკაცია		-	703,280
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა - ძირი თანხა		(68,304)	(82,258)
სულ საიჯარო ვალდებულების ძირის ცვლილება		**(68,304)**	**621,022**
საიჯარო ვალდებულების პროცენტის და სხვა ცვლილებები			
საპროცენტო ხარჯი		138,453	83,192
გადახდილი პროცენტი		(138,453)	(83,192)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა		-	(17,344)
სულ საიჯარო ვალდებულების პროცენტის და სხვა ცვლილებები		**-**	**(17,344)**
სულ საიჯარო ვალდებულების ბალანსი		**1,105,296**	**1,173,600**

17. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	1,769,118	3,119,037
	1,769,118	**3,119,037**

ჯგუფს აქვს წილობრივი მონაწილეობა ორ საწარმოში: შპს „ჯი სი ჯი“ -ში - 42.5% და ასევე შპს „ჯორჯიან ბლუბერი“-ში - 27.6%. ეს ინვესტიციები წარმოადგენს ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში.

შემდგომ ცხრილში მოცემულია მეკავშირე საწარმოების მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია:

შპს „ჯორჯიან ბლუბერი“

ლარი	31 დეკემბერი 2024	2023 დეკემბერი 2023
მეკავშირე საწარმოში ფლობილი წილის პროცენტი	**27.6%**	**27.6%**
სულ აქტივები	800,674	775,664
სულ ვალდებულებები	(301,717)	(497,593)
წმინდა აქტივები	**498,957**	**278,071**
მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან	238,057	1,702
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში საბალანსო ღირებულება	**209,862**	**148,897**

შპს „ჯი სი ჯი“

ლარი	31 დეკემბერი 2024	2023 დეკემბერი 2023
მეკავშირე საწარმოში ფლობილი წილის პროცენტი	**42.5%**	**42.5%**
სულ აქტივები	15,657,103	14,529,330
სულ ვალდებულებები	(6,656,884)	(6,610,455)
წმინდა აქტივები	**9,000,219**	**7,918,876**
მოგება განგრძობით ოპერაციებიდან	7,843,094	5,664,809
გამოცხადებული დივიდენდი	(6,761,750)	(3,759,671)
ჯგუფისთვის გადახდილი დივიდენდი	3,145,000	1,748,684
ჯგუფის მიერ მეკავშირე საწარმოსთვის აქტივების მიყიდვით წარმოქმნილი შემოსულობის წილის ელიმინირება	(1,599,198)	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში საბალანსო ღირებულება	**1,559,256**	**2,970,139**

18. ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში	781,367	634,117
	781,367	**634,117**

ჯგუფი ფლობს ინვესტიციას სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში, რაც წარმოადგენს ინვესტიციებს სხვადასხვა კომპანიების კაპიტალში 20%-ზე ნაკლები წილობრივი მონაწილეობით. ეს ინვესტიციები აღირიცხება ფასს 9-ის შესაბამისად, როგორც ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტში.

19. მარაგები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული	240,096	192,560
სხვა მარაგები	156,202	40,025
	396,298	**232,585**

რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულებაში ჩამოწერილი მარაგების თანხა მოცემულია შენიშვნა 12(ა)-ში.

20. სავაჭრო მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	264,289	277,547
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**264,289**	**277,547**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები წარმოადგენენ მოკლევადიან აქტივებს.

21. გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული
გადახდილი ავანსები	129,781	151,867
სხვა მიმდინარე აქტივები	193,215	113,917
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	**322,996**	**265,784**

22. ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	-	1,063
საბანკო ნაშთები	3,416,570	1,490,835
ფული და ფულადი ეკვივალენტები:	**3,416,570**	**1,491,898**

23. განთავსებული კაპიტალი და რეზერვები

(ა) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს 2,000 ლარს (2023: 2,000 ლარი). ნებადართული კაპიტალი არ არის განსაზღვრული.

(ბ) დივიდენდები

დივიდენდები, მთლიანი ღირებულებით 2,715,789 ლარი იქნა გამოცხადებული 2024 წელს (2023: 1,452,632 ლარი), რაც სრულად იქნა დაფარული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2023: 1,452,632 ლარი). გადახდილი დივიდენდის თანხა შეიცავს საშემოსავლო გადასახადს ორივე საანგარიშგებო პერიოდისთვის. განაწილებულ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის ხარჯი 2024 წელს შეადგენდა 252,382 ლარს (2023: 134,995 ლარი), საიდანაც 120,743 ლარი იქნა გადახდილი 2024 წელს (2023: 134,995 ლარი).

(გ) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. გარდა ამისა, კაპიტალის ნებისმიერ შემცირებამდე, ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ ჯგუფი შესაბამისობაში იყოს საკანონმდებლო ნორმებთან და შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა. ამ ზომების გამოყენებით, ჯგუფი მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს.

24. არამაკონტროლებელი წილები

შემდეგ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის თითოეულ შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც აქვს არსებითი არამაკონტროლებელი წილი, ნებისმიერ შიდაჯგუფურ გამოქვითვამდე.

31 დეკემბერი 2024

ლარი	შპს ქემიქალსი	შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლა	შპს თბილისის ქართულ ამერიკული სკოლა	სულ
არამაკონტროლებელი წილის პროცენტი	**50%**	**35%**	**20%**	
გრძელვადიანი აქტივები	348,780	1,424,723	595,975	**2,369,479**
მოკლევადიანი აქტივები	487,416	624,089	400,026	**1,511,530**
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	(900,371)	-	**(900,371)**
მოკლევადიანი ვალდებულებები	(27,433)	(732,621)	(1,156,338)	**(1,916,392)**
წმინდა აქტივები	808,763	415,820	(160,337)	**1,064,246**
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	**404,381**	**145,552**	**(32,067)**	**517,865**
ამონაგები და შემოსავალი იჯარებიდან	1,221,762	3,535,601	1,214,045	5,971,408
მოგება	174,304	448,362	(814,299)	(191,633)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	174,304	448,362	(814,299)	(191,633)
მოგების განაწილება არამაკონტროლებელ წილებზე	87,152	156,927	(162,860)	81,219
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულადი სახსრების და მათ ეკვივალენტების*	**(3,210)**	**290,810**	**200,469**	**488,068**

* ფულადი სახსრების და მათ ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება) ძირითადად დაკავშირებული საოპერაციო საქმიანობასთან.

ზემოთ მოყვანილი ცხრილი არ მოიცავს არამაკონტროლებელ წილს შპს „თბილისის ქართულ-ამერიკულ საგანმანათლებლო საზოგადოებაში“, გამომდინარე იქიდან, რომ ნაშთები არ არის არსებითი.

31 დეკემბერი 2023

ლარი	შპს ქემიქალსი	შპს ბათუმის ქართულ ამერიკული სკოლა	შპს თბილისის ქართულ ამერიკული სკოლა	სულ
არამაკონტროლებელი წილის პროცენტი	**50%**	**35%**	**20%**	
გრძელვადიანი აქტივები	426,615	1,827,904	609,389	**2,863,908**
მოკლევადიანი აქტივები	355,239	270,901	151,947	**778,087**
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	(1,044,137)	(367,374)	**(1,411,511)**
მოკლევადიანი ვალდებულებები	(147,395)	(893,682)	-	**(1,041,077)**
წმინდა აქტივები	**634,459**	**160,986**	**393,962**	**1,189,407**
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	317,229	56,359	30,793	**404,381**
ამონაგები და შემოსავალი იჯარებიდან	1,125,342	3,064,839	204,545	**4,394,726**
მოგება	67,911	517,970	(546,038)	**39,843**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	**-**
მთლიანი სრული შემოსავალი	**67,911**	**517,970**	**(546,038)**	**39,843**
მოგების განაწილება არამაკონტროლებელ წილებზე	33,956	181,290	(109,208)	**106,037**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულადი სახსრების და მათ ეკვივალენტების*	**136,723**	**(229,920)**	**83,684**	**(9,513)**

* ფულადი სახსრების და მათ ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება) ძირითადად დაკავშირებული საოპერაციო საქმიანობასთან.

ზემოთ მოყვანილი ცხრილი არ მოიცავს არამაკონტროლებელ წილს შპს „თბილისის ქართულ-ამერიკულ საგანმანათლებლო საზოგადოებაში“, გამომდინარე იქიდან, რომ ნაშთები არ არის არსებითი.

25. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 27-ე შენიშვნაში.

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საბანკო სესხები	4,977,060	5,729,898
	4,977,060	**5,729,898**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საბანკო სესხები	913,533	1,355,599
	913,533	**1,355,599**

(ბ) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სესხი სს საქართველოს ბანკი	ევრო	6 თვიან ევრიბორს +5.3%	24.02.2032	-	-	1,141,750	1,141,750
სესხი სს საქართველოს ბანკი	ლარი	ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს +3.7%	05.10.2032	5,589,952	5,589,952	5,943,747	5,943,747
სესხი სს საქართველოს ბანკი	ლარი	ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს +5 %	23.10.2034	300,641	300,641	-	-
				5,890,593	**5,890,593**	**7,085,497**	**7,085,497**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს საკრედიტო ლიმიტი „საქართველოს ბანკში“ 6 მილიონი ლარის ოდენობით, საიდანაც ათვისებულია 300 ათასი ლარი (2023: ნული).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ დაურღვევია სესხებზე და კრედიტებზე არსებული კოვენანტები (2023 - იგივე).

(გ) რეკონსილაცია - ფულადი სახსრები ფულადი ნაკადების საფინანსო საქმიანობიდან

31 დეკემბერი 2024		ვალდებულებები		კაპიტალი	
ლარი	შენიშვნა	სესხები და კრედიტები	საიჯარო ვალდებულებები	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი
ბალანსი 1 იანვრის მდგომარეობით		**7,085,497**	**1,173,600**	**18,165,446**	**317,662**
ცვლილებები ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან					
სესხის აღებით მიღებული ფულადი ნაკადები		300,000	-	-	-
სესხების დაფარვა		(1,423,456)	-	-	-
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(708,413)	(138,454)	-	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		-	(68,304)	-	-
გაზრდა		-	-	-	100,000
დივიდენდის გადახდა		-	-	(2,715,789)	-
სულ ცვლილება საფინანსო საქმიანობიდან		**(1,831,869)**	**(206,758)**	**(2,715,789)**	**100,000**

საკურსო სხვაობით გამოწვეული ცვლილება	(12,646)	-	-	-
სხვა ცვლილებები				
ფინანსური ხარჯი	649,611	138,454	-	-
სულ სხვა ცვლილებები	**649,611**	**138,454**	**-**	**-**
სხვა ცვლილებები კაპიტალის მუხლებში	**-**	**-**	**4,031,545**	**80,970**
ბალანსი წლის 31 დეკემბერს	**5,890,593**	**1,105,296**	**19,481,202**	**498,632**

31 დეკემბერი 2023		**ვალდებულებები**		**კაპიტალი**	
ლარი	**შენიშვნა**	**სესხები და კრედიტები**	**საიჯარო ვალდებულებები**	**გაუნაწილებელი მოგება**	**არამაკონტროლებელი წილი**
ბალანსი წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**2,094,103**	**569,923**	**15,931,114**	**351,595**
ცვლილებები ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან					
სესხის აღებით მიღებული ფულადი ნაკადები		5,178,000	-	-	-
სესხების დაფარვა		(267,902)	-	-	-
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(580,740)	(83,192)	-	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		-	(82,258)	-	-
გაზრდა		-	-	-	(70,000)
დივიდენდის გადახდა		-	-	(1,452,632)	
სულ ცვლილება საფინანსო საქმიანობიდან		**4,329,358**	**(165,450)**	**(1,452,632)**	**(70,000)**
საკურსო სხვაობით გამოწვეული ცვლილება		28,330	(17,344)	-	-
სხვა ცვლილებები				-	-
იჯარის კონტრაქტის მოდიფიკაცია		-	703,279	-	-
ფინანსური ხარჯი		633,706	83,192	-	-
სულ სხვა ცვლილებები		**633,706**	**786,471**	**-**	**-**
სხვა ცვლილებები კაპიტალის მუხლებზე		-	-	3,686,964	36,067
ბალანსი წლის 31 დეკემბერს		**7,085,497**	**1,173,600**	**18,165,446**	**317,662**

26. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	**შენიშვნა**	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული**
საგადასახადო ვალდებულებები		135,662	15,847
სავაჭრო ვალდებულებები		80,880	556,856
სხვა ვალდებულებები		54,210	133,483
		270,752	**706,186**

27. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, იმის გათვალისწინებით, რომ არ მომხდარა არსებითი ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში სესხების თავდაპირველი აღიარების თარიღებიდან საანგარიშგებო თარიღებამდე.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

– საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 27(ბ)(ii));
– ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 27(ბ)(iii));
– საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 27(ბ)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს მესაკუთრეს. ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს

დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.
მესაკუთრეები ზედამხედველობას უწევენ, თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, ჯგუფის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფინანსური აქტივებისთვის იყო არაარსებითი ორივე საანგარიშგებო თარიღისთვის.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად უკავშირდება შემოსავლებს სატრანსპორტო სერვისის მიწოდებიდან, ბიტუმის მასალების გაყიდვიდან და იჯარით გაცემული ქონებებიდან რომელიც იფარება ჯგუფისთვის ნორმალური საკრედიტო პრაქტიკის მიხედვით 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ გააჩნია მატერიალური ვადაგადაცილებული მოთხოვნები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მის სავაჭრო მოთხოვნებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, გამომდინარე წარსული გამოცდილებიდან. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები სავაჭრო მოთხოვნებზე ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები იყო არაარსებითი ორივე საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი ფლობდა 3,416,570 ლარის ოდენობით ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,491,898 ათასი ლარი). ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების სრული უმრავლესობა ინახება ბანკში მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები იყო არაარსებითი ორივე საანგარიშგებო თარიღისთვის.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები საანგარიშგებო თარიღისთვის. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს.

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	6 თვეზე ნაკლები	6-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	1,105,296	1,784,604	113,635	91,291	819,701	759,977
სესხები და კრედიტები	5,890,593	7,349,260	452,032	947,146	5,259,770	690,312
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	135,093	135,093	135,093	-	-	-
	7,130,982	**9,268,957**	**700,760**	**1,038,437**	**6,079,471**	**1,450,289**

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	6 თვეზე ნაკლები	6-12 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	1,173,600	1,989,529	113,635	91,291	819,701	964,903
სესხები და კრედიტები	7,085,497	8,382,435	229,671	1,125,928	6,076,880	949,956
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	690,339	690,339	690,339	-	-	-
	8,949,436	**11,062,303**	**1,033,645**	**1,217,219**	**6,896,581**	**1,914,859**

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის

მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია ფულადი აქტივები და ვალდებულებები. ქვემოთ იხილეთ:

ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,760	834
სავაჭრო მოთხოვნები	-	104
სესხები და კრედიტები	-	(1,141,750)
სავაჭრო ვალდებულებები	-	(136,331)
წმინდა დაქვემდებარება	**25,760**	**(1,277,143)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარი	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2024	2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 ევრო	2.7208	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება (შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

ლარი	გამყარება		შესუსტება	
	კაპიტალი	მოგება ან ზარალი	კაპიტალი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2024				
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(2,576)	(2,576)	2,576	(2,576)
31 დეკემბერი 2023				
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	127,714	127,714	(127,714)	(127,714)

ახალი სესხების და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით, სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის, ფიქსირებული თუ ცვალებადი.

ჯგუფის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტებიდან სესხები და კრედიტები სრულად წარმოადგენს ცვალებადგანაკვეთიან ფინანსურ ვალდებულებებს.

100 საბაზისო პუნქტიანი გონივრული შესაძლო ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის 58,906 ლარის ოდენობით გავლენას იქონიებდა მოგებაზე ან ზარალზე (2023: 70,855 ლარი). ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

28. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების სტადიაზეა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული დაზღვევების ბევრი ფორმა ჯერ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი. ჯგუფის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები დაზღვეულია.

სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთაც შესაძლოა ჰქონოდა არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ საქმიანობის შედეგებზე ან კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღწერილი ან განმარტებული მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალურ დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება საგადასახადო ორგანოების მიერ. ფისკალური წელი ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ მომდევნო სამი წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. აღნიშნულმა გარემოებებმა

შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ არის ასახული შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე.

გარემოსთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში გარემოსთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულება ვითარდება და მთავრობის ორგანოების აღმასრულებელი ნება მუდმივად გადაიხედება. ჯგუფი პერიოდულად ავითარებს საკუთარ ვალდებულებებს გარემოსთან დაკავშირებულ რეგულაციებთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი მაშინვე აღიარდება. მიმდინარე სააღსრულებო გარემოში არსებული კანონმდებლობის ქვეშ, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფი შესაბამისობაშია საქართველოს ყველა გარემოსთან დაკავშირებულ კანონსა და რეგულაციასთან.

კლიმატის ცვლილება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და გააცნობიერა გლობალური შეშფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე.

29. შვილობილი კომპანიები

საწარმო	ძირითადი საქმიანობა	დაარსების თარიღი	ჯგუფის საკუთრების პროცენტულობა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	ჯგუფის საკუთრების პროცენტულობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	საკუთრების სახეობა
შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“	საგანმანათლებლო	3/11/2017	65%	65%	პირდაპირი
შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა“	საგანმანათლებლო	17/02/2023	80%	80%	პირდაპირი
შპს „ქემიქალს“	ბიტუმის მასალების იმპორტი და გაყიდვები	16/04/2014	50%	50%	პირდაპირი
შპს „ვი თი სერვისი“	სატრანსპორტო სერვისი მიწოდება	10/1/2024	100%	-	პირდაპირი

30. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

ჯგუფის მფლობელობა აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 1-ში.

(გ) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოების კატეგორიაში.

ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	1,404,772	681,955

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელ პირებს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დირექტორებს ჯგუფში შემავალი ყველა კომპანიისთვის.

(დ) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ:

ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2024	2023	2024	2023
გადახდილი დივიდენდი	(2,580,000)*	(1,380,000)*	-	-

* წმინდა თანხა გადასახადების გამოკლებით.
ასევე იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 10.

31. შემდგომი მოვლენები

2025 წლის განმავლობაში ჯგუფმა საქართველოს ბანკიდან სესხის სახით აითვისა 2,135,000 ლარი. საკრედიტო ლიმიტის პირობები და საპროცენტო განაკვეთი აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 25(ბ)-ში.

ჯგუფი ასევე ახორციელებს ქალაქ ბათუმში ახალი სკოლის შენობის მშენებლობას. 2025 წლის განმავლობაში გაწეული სრული კაპიტალური ხარჯი სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოადგენს 108 000 ლარს.

2025 წლის 1 იანვრიდან 24 ოქტომბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 24 ოქტომბერს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ვი თი ჯგუფი“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა 1
2. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა, ფილიალები; 2
3. 2024 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები..... 3
4. არაფინანსური საკითხები 3
5. გარემოს დაცვა 4
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები..... 5

1. საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

„ვი თი ჯგუფი“ წარმოადგენს ჰოლდინგს (შემდგომში - ***ჯგუფი***). ჰოლდინგის სათავო კომპანიაა შპს „ვი თი ჯგუფი“ (ს/ნომერი 205143824), რომელიც თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად წარმატებულად მოღვაწეობს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ ბიტუმის წარმოება და რეალიზაცია, სატრანსპორტო მომსახურება, უძრავი ქონების მართვა, ასევე კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სფერო.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანია შპს „ქემიქალსი“ (ს/ნომერი 405039426) წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილესი კომპანიის „ITERCHIMICA“ ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. შპს „ქემიქალსი“ ახორციელებს სპეციფიკური ქიმიური საშუალებების, კერძოდ, ემულგატორებისა და ადგეზიური დანამატების იმპორტსა და რეალიზაციას საქართველოში, რაც ეხმარება მწარმოებლებს აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანია შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“ (ს/ნომერი 445519537) დაარსდა 2017 წელს. სკოლის სასწავლო პროგრამების უმთავრესი მიზანია აღსაზრდელები განვითარების კვალდაკვალ მიყვნენ თანამედროვე მსოფლიოს, მიეცეს მათ ნიჭსა და შესაძლებლობებს განვითარებისა და სიახლეების ათვისების საშუალება.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანია შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა“ (ს/ნომერი 406404939) დაარსდა 2023 წელს. სკოლის სასწავლო პროგრამების უმთავრესი მიზანია აღსაზრდელები განვითარების კვალდაკვალ მიყვნენ თანამედროვე მსოფლიოს, მიეცეს მათ ნიჭსა და შესაძლებლობებს განვითარებისა და სიახლეების ათვისების საშუალება.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანია შპს „ვი თი სერვისი“ (ს/ნომერი 405669708) დაარსდა 2024 წელს. „ვი თი სერვისის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანია შპს „ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო საზოგადოება“ (GAEC) დაარსდა 2019 წელს. GAEC-ის მიზანია ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ხარისხიანი და საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამებით დაიმკვიდროს ადგილი. ამ მიზნით საზოგადოება:

- საკონსულტაციო და სერვის მომსახურებას უწევს როგორც კერძო, ასევე საჯარო პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს (ძირითადად, უცხო ენების კათედრის განვითარებისა და უცხო ენების სწავლების მიმართულებით);
- საკუთარი სასწავლო ცენტრის ბაზაზე მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა პროფილისა და მიმართულების მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო კურსებს და მომხმარებლის საჭიროებებზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებს;
- ორგანიზებას უწევს სეზონურ გასვლით ბანაკებსა და სკოლებს.

დაფუძნებიდან მის სახელს არაერთი წარმატებული პროექტი უკავშირდება, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ცენტრის გახსნა.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს ეკუთვნის 42.5% შპს „ჯი სი ჯი“-ში (ს/ნომერი 405039015), რომელიც დაარსდა 2014 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ასფალტის წარმოება და რეალიზაცია, საგზაო სამუშაოები.

შპს „ვი თი ჯგუფმა“ 2020 წელს ასევე დააფუძნა შპს „ჯორჯიან ბლუბერი“ (ს/ნომერი 405402602), რომელშიც ჯგუფი 27,6% წილს ფლობს. ამ საწარმოს საქმიანობის სფერო არის ლურჯი მოცვის მოყვანა და რეალიზაცია.

შპს „ვი თი ჯგუფმა“ 2022 წელს სოფლის მეურნეობის დარგში დააფუძნა კიდევ 11 ახალი კომპანია (შპს „ჯეოაგრო ისთეით“, ს/ნ 405572189, შპს „ორგანიკ ბლუბერი“, ს/ნ 405572072, შპს „ბლუბერი ვილიჯ“, ს/ნ 405572287, შპს „ფრეშ ფრუთს გარდენ“, ს/ნ 405572143, შპს „ჯორჯიან ფრუთ გარდენს“, ს/ნ 405573990, შპს „ბლუბერი რანთშ“, ს/ნ 405572152, შპს „ჯეორჯიან ორგანიკ გარდენინგ“, ს/ნ 405572269, შპს „აგროეიქაზ“, ს/ნ 405572278, შპს „ჯორჯიან ფრეშ ფრუთს“, ს/ნ 405533007, შპს „ჯორჯიან აგრო ფილდს“, ს/ნ 405533061, შპს „ჯორჯიან აგრო გრუპ“, ს/ნ 405574052), რომლებშიც ჯგუფი ფლობს 19% წილს და ამ კომპანიების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - ლურჯი მოცვის მოყვანა- რეალიზაცია და სხვადასხვა ერთწლიანი კულტურების მოყვანა-რეალიზაცია.

2. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა, ფილიალები

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს მიზანია განახორციელოს ინვესტიციები საგანმანათლებლო და აგრო მიმართულებით.

2022 წელს შპს „ვი თი ჯგუფმა“ შეიძინა მიწის ნაკვეთი თბილისში, სადაც წელიწადნახევრიანი აქტიური სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ 2023 წლის სექტემბერში წარმატებით დაიწყო სასწავლო პროცესი შპს „თბილისის ქართულ-ამერიკულმა სკოლა“-მ, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა და ყოველდღიურად იზრდება სკოლის მიმართ ინტერესი.

შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ სამომავლო გეგმები უკავშირდება ინტერნაციონალიზაციის პროცესს - საერთაშორისო ავტორიზაციის მოპოვებით. გარდა ინტერნაციონალიზაციის პროცესისა, სკოლა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელებს სეზონურ სკოლებსა და ბანაკებს სასკოლო არდადეგების პერიოდში და ასევე, სკოლის მოსწავლეებს შესთავაზებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

2024 წლის ბოლოს შპს „ვი თი ჯგუფმა“ მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე დაიწყო ახალი თანამედროვე სტანდარტების სკოლის შენობის მშენებლობა რომელიც 2026 წელს შეძლებს მოსწავლეთა მიღებას და მათთვის თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით ხარისხიანი განათლების მიცემას.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა ინვესტიცია აგრომიმართულებით დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 230 ჰა მიწის ნაკვეთებში. საწყისს ეტაპზე 60 ჰა-ზე უკვე გაშენებულია მოცვის ბაღი, 2024 წელს უკვე მოხდა მცირე რაოდენობის მოსავლის მიღებაც. 2025 წლის განმავლობაში დაგეგმილია დამატებით ფართობზე მოცვის ბაღის გაშენება.

სუბიექტს არ უწარმოებია კვლევები.

სუბიექტის არ აქვს ფილიალები.

3. 2024 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფი 2018 წლიდან წარმოადგენს მე-2 ზომითი კატეგორიის ჯგუფს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. მოქმედი კანონმდებლობლის თანახმად, მისთვის, როგორც მე-2 ზომითი კატეგორიის ჯგუფისთვის, წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

2024 წლის ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (საიჯარო შემოსავლების ჩათვლით) - **7 253 ათასი ლარი.**
2024 წლის მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან - **1,948 ათასი ლარი.**
2024 წლის მოგება დაბეგვრამდე - **2 201 ათასი ლარი.**
ჯამური აქტივები 31.12.2024 წ. მდგომარეობით - **28 238 ათასი ლარი**.

4. არაფინანსური საკითხები

სოციალური და დასაქმების საკითხები

ჯგუფის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი წვლილი შეაქვს *ჯგუფის* წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *ჯგუფის* მიერ დასაქმებულია ჯამში 200-ზე მეტი ადამიანი.

ჯგუფი ჩვეულებრივ რეჟიმში განიხილავს ყველა დასაქმების აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწევდეთ მუშაობა.

შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას, რისთვისაც *ჯგუფი* ახორციელებს რიგ ღონისძიებებს და რაც უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის უსაფრთხო-კომფორტული გარემოს შექმნას. დღეისათვის *ჯგუფს* ჰყავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მენეჯერი.

ჯგუფი ზრუნავს, რომ დანერგოს და განავითაროს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე სტანდარტები, რითაც უზრუნველყოფს *ჯგუფში* დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას უსაფრთხო სამუშაო გარემოს და ამით სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას.

ჯგუფი ზრუნავს არა მხოლოდ საწარმოში დასაქმებული პერსონალის, არამედ კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორი და საწარმოში ვიზიტორთა უსაფრთხოებაზე.

ჯგუფი წარმატებით იყენებს და ნერგავს საქართველოს მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებს და ზრუნავს გათვალისწინებული მოთხოვნების გაუმჯობესებაზე. ჩვენი შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალური ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს *ჯგუფის* მიერ მიღწეული შედეგების მდგრადობის გარანტს.

ჯგუფი ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების მიხედვით საფრთხეების იდენტიფიცირებას და რისკების შეფასებას, სისტემის გაუმჯობესების მიზნით სახავს მიზნებს და ადგენს პროგრამებს, საზღვრავს პერსონალის როლს, პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს, ქმნის პერსონალის სწავლების ბაზას და ატარებს სწავლებებს, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ქმნის სამუშაოს შესრულების მეთოდოლოგიებს და პროცედურებს თანამედროვე ფორმატის მიხედვით, ქმნის ინციდენტების მოკვლევის და მოხსენების, ასევე მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების მყარ ბაზას, ქმნის და ანვითარებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას თანამედროვე ფორმატში და ნერგავს ინციდენტების მართვის ცენტრალიზებულ სისტემას, ახორციელებს დაკვირვებებს მიმდინარე საოპერაციო პროცესებზე და ზრუნავს შეუსაბამობების აღმოფხვრაზე. კომპანიის მიზანია, შექმნას მყარი ბაზა პირველი, მეორე და მესამე მხარის აუდიტების ჩასატარებლად და დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები.

5. გარემოს დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ *ჯგუფის* საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან ყურადღებით ვეკიდებით. ზუსტად ამ მიზნით *ჯგუფში* არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება, რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი ამ მიმართულებით საწარმოო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში.

საწარმოო ნარჩენების უტილიზაცია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელია შესაბამისი პროცესების სწორად და ეფექტიანად მართვის შემთხვევაში. *ჯგუფი* ეფექტიანად მართავს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციების დახმარებით საწარმოში წარმოქმნილ, როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენებს, ახორციელებს საქარართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა ნარჩენების შემცირება, ხელმეორედ გამოყენება, განთავსება/უტილიზაცია და სხვა. საწარმოო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც *ჯგუფშია* დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან გასამკლავებლად.

ჩვენ დავნერგეთ საწარმოო ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა, რაც გულისხმობს კონკრეტული გეგმის არსებობას და მის ზედმიწევნით შესრულებას (ნარჩენების მართვის გეგმა) და საბოლოოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ანგარიშის წარდგენას. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, მდგომარეობა, სახიფათოობა, წონა. საწარმოს პერსონალს გავლილი აქვს სწავლებები გარემოს დაცვის სფეროში.

საწარმოს ტერიტორიაზე შექმნილია სპეციალური ადგილები (ნარჩენების დროებითი დასაწყობების ტერიტორია), სადაც ხდება ნარჩენების შესაბამისი დასაწყობება და შენახვა (არაუმეტეს 1 თვისა), სანამ მათი ტერიტორიიდან გატანა მოხდება.

საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის დაცვა, რისთვისაც *ჯგუფს* მომზადებული აქვს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულდა დასაშვები გაფრქვევის პროექტი“ და რის მიხედითაც ახორციელებს სამუშაო პროცესებს, ხოლო ყოველწლიურად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგენს შესაბამის ანგარიშგებას.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც გამოვლენილია პარტნიორების მიერ, გამოიყურება შემდეგნაირად:

- *ჯგუფი* ოპერირებს ბიზნეს-გარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება *ჯგუფის* რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. *ჯგუფში* გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლის მექანიზმები, რათა *ჯგუფმა* კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. *ჯგუფის* იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა არსებითი ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. *ჯგუფში* რეგულარულად გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ ტარდება შიდა აუდიტი. შედეგები განიხილება შესაბამისი მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად.

- *ჯგუფის* წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი კადრები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, *ჯგუფის* განვითარება, შეთავაზებული საქონლისა და სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და *ჯგუფი* ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება კონკურენტულ ანაზღაურებასა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.

- *ჯგუფის* შემოსავლებზე არსებითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ასევე საბაზრო რისკებმაც, კერძოდ ქვეყანაში არსებული არასაკმარისი რეგულაციებისა და კონტროლის არსებობის გამო, *ჯგუფი* შეიძლება აღმოჩნდეს არახელსაყრელ და არაკონკურენტულ გარემოში სხვა მწარმოებლებთან და მიმწოდებლებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს *ჯგუფს*. აღნიშნული რისკის შესამცირებლად ჩვენ

მივიღეთ გადაწყვეტილება დამოუკიდებელი, ობიექტური და სერტიფიცირებული საწარმოო ლაბორატორიის აშენების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ მიერ წარმოებული საქონლის მაღალ ხარისხს.

- *ჯგუფს აქვს **ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი.** კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს. აღნიშნული რისკების შესამცირებლად ჯგუფს დანერგილი აქვს სხვადასხვა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა და მომავალშიც გააგრძელებს ახალი პროგრამების დანერგვას.*
- ***საკრედიტო რისკი.** ჯგუფის გაყიდვების უმეტესი ნაწილი ნაღდი ფულით ხორციელდება, მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევამდე, გაწევის პროცესში ან მომსახურების გაწევისთანავე; შესაბამისად, ჯგუფს მოთხოვნების ამოღების პრობლემა არა აქვს.*
- ***ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის რისკი, რომ ჯგუფს სირთულეები შეექმნება თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, როდესაც მათი დაფარვის ვადა დადგება. ლიკვიდობის რისკის მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიდგომაა იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა ვალდებულებების დაფარვის ვადის დადგომისას დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ ვითარებაში, ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე. ლიკვიდურობის რისკის წარმოქმნის შემთხვევაში მფლობელები გამოთქვამენ მზადყოფნას დამატებითი კაპიტალის შევსებაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ჯგუფს ეს რისკი ფაქტობრივად არ უდგას.*
- ***სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების ცვლილებების გამო.*
  ჯგუფის წინაშეა ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული სავალუტო კურსების ცვალებადობის გავლენის რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებით მენეჯმენტი, როგორც ვალუტების მიხედვით, ასევე მთლიანი რისკის დონის ზღვარს ადგენს. სავალუტო პოზიციების მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. თუმცა ყველა მნიშვნელოვანი ვალდებულება და აქტივის უმეტესობა ჯგუფი ფლობს ლარში შესაბამისად სავალუტო რისკი ძალზედ მცირეა.
- ***საპროცენტო განაკვეთის რისკი.** ჯგუფის წინაშეა ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გავლენის რისკი.*

ჯგუფს არ განუხორციელებია საკუთარი აქციების/წილების შეძენა.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ვი თი ჯგუფის“ დირექტორის ლევან გოგიას მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

---------- ლევან გოგია

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
განგრძობითი ოპერაციები			
ამონაგები	11	6,947,402	9,948,925
შემოსავალი იჯარებიდან	11	305,715	220,484
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	12(ა)	(5,598,731)	(6,420,283)
საერთო მოგება		**1,654,386**	**3,749,126**
ადმინისტრაციული ხარჯები	12(ბ)	(2,555,647)	(2,424,381)
მიწოდების და სხვა საოპერაციო ხარჯები	12(გ)	(19,708)	(44,001)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**(920,969)**	**1,280,744**
ფინანსური შემოსავალი	13	300,843	145,757
ფინანსური ხარჯი	13	(787,861)	(543,252)
წმინდა ფინანსური ხარჯი		**(487,018)**	**(397,495)**
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში მოგების წილი (მოგების გადასახადის გამოკლებით)	17	3,402,727	2,660,444
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12(დ)	259,929	402,972
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(53,392)	(88,639)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**2,201,277**	**3,858,026**
მოგების გადასახადის ხარჯი	23(ბ)	(252,382)	(134,995)
მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		**1,948,895**	**3,723,031**
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან (მოგების გადასახადის გათვალისწინებით)	10	2,163,620	-
სულ წლის სრული მოგება		**4,112,515**	**3,723,031**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეებს		4,031,545	3,686,964
არამაკონტროლებელ წილებს		80,970	36,067

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დირექტორი
ლევან გოგია

ფინანსური დირექტორი
ალეკო სარქისოვი
ა. სარქისოვი

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	14	19,200,108	19,409,753
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	10	-	961,399
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	14	227,500	-
არამატერიალური აქტივი		41,320	37,012
საინვესტიციო ქონება	15	956,675	892,031
აქტივის გამოყენების უფლება	16	861,921	961,159
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	17	1,769,118	3,119,037
ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში	18	781,367	634,117
გრძელვადიანი აქტივები		**23,838,009**	**26,014,508**
მარაგები	19	396,298	232,585
სავაჭრო მოთხოვნები	20	264,289	277,547
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	21	322,996	265,784
ფული და ფულის ეკვივალენტები	22	3,416,570	1,491,898
მოკლევადიანი აქტივები		**4,400,153**	**2,267,814**
სულ აქტივები:		**28,238,162**	**28,282,322**
კაპიტალი	23		
განთავსებული კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		19,481,202	18,165,446
მესაკუთრეთა კაპიტალი		**19,483,202**	**18,167,446**
არამაკონტროლებელი წილი	24	498,632	317,662
კაპიტალი სულ:		**19,981,834**	**18,485,108**
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	25	4,977,060	5,729,898
საიჯარო ვალდებულება	16	900,371	970,774
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		**5,877,431**	**6,700,672**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	25	913,533	1,355,599
საიჯარო ვალდებულება	16	204,925	202,826
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11	989,687	831,931
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26	270,752	706,186
ვალდებულებები სულ:		**8,256,328**	**9,797,214**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		**28,238,162**	**28,282,322**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დირექტორი
ლევან გოგია

ფინანსური დირექტორი
ალეკო სარქისოვი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12 – 56 გვერდებზე

ლარი

	შენიშვნა	კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		**2,000**	**15,931,114**	**15,933,114**	**351,595**	**16,284,709**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში გადაანგარიშებული			3,686,964	3,686,964	36,067	3,723,031
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან						
კაპიტალის შემცირება		-	-	-	(70,000)	(70,000)
გამოცხადებული დივიდენდები		-	(1,452,632)	(1,452,632)	-	(1,452,632)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს გადაანგარიშებული		**2,000**	**18,165,446**	**18,167,446**	**317,662**	**18,485,108**

ლარი

	კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს გადაანგარიშებული	**2,000**	**18,165,446**	**18,167,446**	**317,662**	**18,485,108**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	4,031,545	4,031,545	80,970	4,112,515
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან					
კაპიტალის ზრდა	-	-	-	100,000	100,000
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,715,789)	(2,715,789)	-	(2,715,789)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**2,000**	**19,481,202**	**19,483,202**	**498,632**	**19,981,834**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დირექტორი
ლევან გოგია

ფინანსური დირექტორი
ალეკო სარქისოვი

ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		7,572,781	11,656,857
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(3,542,595)	(4,043,166)
გაცემული შრომის ანაზღაურება		(3,317,671)	(2,518,276)
გადახდილი გადასახადები (მოგების გ-დის გარდა)		(1,859,054)	(410,891)
გადახდილი მოგების გადასახადი		(120,743)	(256,347)
სხვა გაცემები საოპერაციო საქმიანობიდან		(27,763)	(58,948)
ფულადი სახსრები წმინდა (შემცირება)/ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,295,045)**	**4,369,229**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირ. საშუალებებისა და არამატ. აქტივების შეძენა		(516,703)	(10,059,469)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან შემოსავალი		5,763,765	-
მს გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ-ის გადახდა		(835,354)	
მიღებული პროცენტები		264,761	4,331
მიღებული დივიდენდები		-	312,665
მეკავშირე საწარმოში კაპიტალის შემცირებით მიღებული ფულადი სასრები		21,462	-
ინვესტიციები სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში		(160,264)	-
მიღებული მოგების წილი მეკავშირე საწარმოდან		3,145,000	1,748,684
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება) საინვესტიციო საქმიანობიდან		**7,682,667**	**(7,993,789)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება		300,000	5,178,000
სესხების დაფარვა		(1,423,456)	(267,902)
გადახდილი იჯარა		(206,758)	(165,450)
გადახდილი პროცენტები		(708,413)	(580,740)
პროცენტის ანაზღაურება გრანტი		199,123	-
გადახდილი დივიდენდები (საშ. გ-დის ჩათვლით)		(2,715,789)	(1,452,632)
ტრანზაქციები არამაკონტროლებელ წილთან (კაპიტალის შევსება)		100,000	140,000
ტრანზაქციები არამაკონტროლებელ წილთან (კაპიტალის შემცირება)		-	(210,000)
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა საფინანსო საქმიანობიდან		**(4,455,293)**	**2,641,276**
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/(კლება) (ნეტო)		(7,658)	(891)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება):		**1,932,329**	**(983,284)**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) წლის დასაწყისისათვის:		**1,491,899**	**2,476,073**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) წლის ბოლოსათვის:		**3,416,570**	**1,491,898**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დირექტორი
ლევან გოგია

ფინანსური დირექტორი
ალეკო სარქისოვი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12 – 56 გვერდებზე

მივიღეთ გადაწყვეტილება დამოუკიდებელი, ობიექტური და სერტიფიცირებული საწარმოო ლაბორატორიის აშენების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ მიერ წარმოებული საქონლის მაღალ ხარისხს.

- *ჯგუფს აქვს **ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი.** კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს. აღნიშნული რისკების შესამცირებლად ჯგუფს დანერგილი აქვს სხვადასხვა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა და მომავალშიც გააგრძელებს ახალი პროგრამების დანერგვას.*
- ***საკრედიტო რისკი.** ჯგუფის გაყიდვების უმეტესი ნაწილი ნაღდი ფულით ხორციელდება, მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევამდე, გაწევის პროცესში ან მომსახურების გაწევისთანავე; შესაბამისად, ჯგუფს მოთხოვნების ამოღების პრობლემა არა აქვს.*
- ***ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის რისკი, რომ ჯგუფს სირთულეები შეექმნება თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, როდესაც მათი დაფარვის ვადა დადგება. ლიკვიდობის რისკის მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიდგომაა იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა ვალდებულებების დაფარვის ვადის დადგომისას დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ ვითარებაში, ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე. ლიკვიდურობის რისკის წარმოქმნის შემთხვევაში მფლობელები გამოთქვამენ მზადყოფნას დამატებითი კაპიტალის შევსებაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ჯგუფს ეს რისკი ფაქტობრივად არ უდგას.*
- ***სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების ცვლილებების გამო.*
  ჯგუფის წინაშეა ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული სავალუტო კურსების ცვალებადობის გავლენის რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებით მენეჯმენტი, როგორც ვალუტების მიხედვით, ასევე მთლიანი რისკის დონის ზღვარს ადგენს. სავალუტო პოზიციების მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. თუმცა ყველა მნიშვნელოვანი ვალდებულება და აქტივის უმეტესობა ჯგუფი ფლობს ლარში შესაბამისად სავალუტო რისკი ძალზედ მცირეა.
- ***საპროცენტო განაკვეთის რისკი.** ჯგუფის წინაშეა ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გავლენის რისკი.*

ჯგუფს არ განუხორციელებია საკუთარი აქციების/წილების შეძენა.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ვი თი ჯგუფის“ დირექტორის ლევან გოგიას მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

---------- ლევან გოგია

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვი თი ჯგუფის“ პარტნიორებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვი თი ჯგუფის“ (ს/ნ 205143824) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის მიერ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ინვესტიცია მის მეკავშირე საწარმოში შპს „ჯორჯიან ბლუბერი“. განხორციელებული ინვესტიცია აღირიცხება წილობრივი მეთოდის შესაბამისად, ასევე წილობრივი მეთოდის შესაბამისად განსაზღვრული მოგების წილი ამ მეკავშირე საწარმოდან ჩართულია ჯგუფის 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულ კონსოლიდირებულ მოგებაში. ჩვენ ვერ ვადასტურებთ ინვესტიციას შპს „ჯორჯიან ბლუბერი“-ში, რომელსაც აქვს საბალანსო ღირებულება 209,862 ლარი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (2023: 148,897 ლარი), რადგან შესაბამის მეკავშირე საწარმოში არ ჩატარებულა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ალტერნატიული პროცედურების მეშვეობით კი აღნიშნული მონაცემების შესახებ საიმედო რწმუნება ვერ იქნა მიღწეული. ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წილობრივი მეთოდის შესაბამისად აღრიცხული ინვესტიციებისა და მეკავშირე საწარმოებიდან ხვედრითი მოგების წილის მუხლებთან მიმართებით.

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგინა ინვესტიციები სხვა საწარმოებში (რომლებიც არ წარმოადგენენ არც შვილობილ, არც მეკავშირე და არც ასოცირებულ საწარმოებს), განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა 2024 წლის ბოლოს არის 781,367 ლარი (2023: 634,117 ლარი). აღნიშნული თანხა წარმოადგენს ამ საწარმოების ნეტო აქტივებში ჯგუფის წილს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოცემული სიდიდე ასახავს აღნიშნული ინვესტიციების სამართლიან ღირებულებას, მაგრამ მენეჯმენტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი შეფასების ანგარიში ამ ინვესტიციებთან დაკავშირებით. შესაბამისად ჩვენ ვერ ვადასტურებთ მოყვანილ რიცხვს იმის გამო, რომ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, თუ რა იქნებოდა ამ აქტივების სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის გაყიდვა რომ მომხდარიყო მიმდინარე საბაზრო პირობებში ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციების შედეგად.

ჯგუფმა 2024 წელს განახორციელა ბიტუმის წარმოების ბიზნეს-კომპონენტის რეალიზაცია საკუთარ მეკავშირე საწარმოზე. ტრანზაქცია აღწერილია კონსოლიდირებული ანგარიშგების შენიშვნა 10-ში. რეალიზებული აქტივების არსებით კომპონენტს შეადგენს გასაყიდად გამიზნული აქტივები ღირებულებით 961,399 ლარი და მარაგები საბალანსო ღირებულებით 77,597 ლარი, რისთვისაც ჯგუფმა მიიღო წმინდა გასამრჯელო გადასახადების გამოკლებით 4,801,813 ლარი. ჩვენ ვერ ვადასტურებთ მოყვანილი რიცხვის შესაბამისობას გასაყიდად გამიზნული აქტივების სამართლიან ღირებულებასთან, რადგან ტრანზაქცია განხორციელებული იყო დაკავშირებულ მხარესთან და ჯგუფს არ გაუკეთებია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გასაყიდად გამიზნული აქტივების შეფასება. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ ტრანზაქციასთან მიმართებით.

ჯგუფი ფლობს საინვესტიციო ქონებას, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია თვითღირებულებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 956,675 ლარი (2023: 892,031 ლარი). *ბასს 40 საინვესტიციო ქონება* მოითხოვს სამართლიანი ღირებულების გამჟღავნებას საინვესტიციო ქონებისთვის, რომელიც აღრიცხულია თვითღირებულებით. ჯგუფმა არ მოახდინა საინვეტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება, რაც წარმოადგენს გადახვევას ამ სტანდარტის მოთხოვნებიდან.

ჩვენ ვერ დავესწარით მარაგების ინვენტარიზაციას, რომლის ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 396,298 ლარს (2023: 232,585 ლარი), რადგან ჯგუფის აუდიტორად ჩვენი დანიშვნა მოხდა 2025 წლის 12 აპრილს. ჩვენ ასევე ვერ შევძელით მარაგების რაოდენობის ალტერნატიული გზებით დადასტურება. შედეგადБ ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა პოტენციური კორექტირების არსებობის შესაძლებლობა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მარაგებთან და დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ კოსნოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილს.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA კოდექსის და ამ ნორმებით

გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია შედგება კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგებისგან (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას მასზე).

ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ წავიკითხოთ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება და ამით განვსაზღვროთ, არის თუ არა კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტში მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვანაირად ხომ არ არის არსებითად მცდარი.

დამატებით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების ნაწილების შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება ისინი შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში არსებითი შეცდომაა, ჩვენ მოგვეთხოვება აღნიშნული ფაქტის წარდგენა.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, გარდა იმ საკითხების შესაძლო ეფექტებისა, რომლებიც აღწერილია ჩვენი დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველის ნაწილში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- იმ ფინანსური წლის კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა მომზადებული, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; და

- კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება შეიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი ჯგუფის საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების

საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს-საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის მიზნებისთვის ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუდასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 41

24 ოქტომბერი 2025 წელი

LTD WT Group

I/C: 205143824
Address: 6 Givi Kartozia Str., Tbilisi, Georgia
Phone:+(995 32) 2550856
E-mail: info@wt.com.ge
Web: www.wt.com.ge

შპს ვი თი ჯგუფი

ს/კ: 205143824
მის: ქ. თბილისი, გივი კარტოზიას №6
ტელეფონი: +(995 32) 2550856
ელფოსტა: info@wt.com.ge
ვებგვერდი: www.wt.com.ge

შპს აუდიტურ კონცერნ „ცოდნისა“-ს

1. 24 ოქტომბერი 2025

2. ძვირფასო ბატონებო,

ეს წარმომადგენლობითი წერილი მოწოდებულია შპს „ვი თი ჯგუფის“ (შემდგომში „ჯგუფი“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ანგარიშგებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სრული ფასს-ების მიხედვით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ შედეგებს, აუდიტი დასკვნაში გამახვილებული საკითხების გათვალისწინებით:

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენს მიერ ამ წერილში წარმოდგენილი ჩამონათვალი შეესაბამება დანართში წარმოდგენილ განმარტებებს.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ მოვითხოვეთ ის ცნობები, რომლებიც საჭიროდ მივიჩნიეთ, რათა ვყოფილიყავით საკმარისად ინფორმირებულები:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

1. ჩვენ შევასრულეთ 2025 წლის 12 აპრილით დათარიღებული აუდიტის პროექტის პირობებით განსაზღვრული ჩვენი მოვალეობები, რომლებიც მოიცავდა სრული ფასს-ების მიხედვით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენას.

2. ჩვენ მიერ სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის სამართლიანი ღირებულებით შეფასებულების, გაკეთებისას გამოყენებული შეფასების მეთოდები და მნიშვნელოვანი დაშვებები არის გონივრული.

3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგი ყველა მოვლენა, რომელთათვისაც სრული ფასს-ები მოითხოვს კორექტირებას ან განმარტებით შენიშვნას, კორექტირებული და განმარტებულია.

4. არაკორექტირებული შეცდომების ეფექტები არ არის არსებითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის, ინდივიდუალურად და ჯამურად. არაკორექტირებული შეცდომების სია თან ახლავს ამ წერილს.

მოწოდებული ინფორმაცია

ჩვენ მოგაწოდეთ/მოგეცით თქვენ:

5. წვდომა ყველა ინფორმაციაზე, რომელიც მიგვაჩნია რელევანტურად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისათვის, სახელდობრ ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა;

   - დაატებითი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვეთ აუდიტთან დაკავშირებით და
   - შეუზღუდავი წვდომა პიროვნებებზე, რომლებთან კონტაქტიც აუცილებელი მიიჩნიეთ აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

6. ყველა ტრანზაქცია დაფიქსირებულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ასახულია კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში.
   - ვადასტურებთ შემდეგს:

7. i) შეგატყობინეთ ჩვენი შეფასება რისკისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში იქნება არსებითი შეცდომა თაღლითობის შედეგად.

   3. ამ წერილის დანართში არის თაღლითობის განმარტება, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობისა და აქტივების მითვისების შედეგად წარმოშობილი შეცდომები.

   5. ii) მოგაწოდეთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

   თაღლითობის ან სავარაუდო თაღლითობის შემთხვევები, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი, აქვს გავლენა ჯგუფზე და მოიცავს:

(a) მენეჯმენტს;
   - თანამშრომლებს, რომლებიც ასრულებენ მნიშვნელოვან როლებს შიდა კონტროლში; ან
   - სხვებს, თუ თაღლითობას შეუძლია ჰქონდეს არსებითი გავლენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე.

(b) ჩვენ მოგაწოდეთ ინფორმაცია პრეტენზიების ან თაღლითობის შესახებ ან სავარაუდო თაღლითობის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს თანამშრომლების, ყოფილი თანამშრომლების, ანალიტიკოსების, რეგულატორების ან სხვების მიერ ჯგუდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ზემოხსენებულთან დაკავშირებით, ჩვენს ვიაზრებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც საჭიროდ მივიჩნევთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეცდომების გარეშე მომზადებისათვის, იქნება ეს შეცდომა თაღლითობის შედეგი თუ ცდომილება. უფრო კონკრეტულად, ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას მოვიფიქროთ, დავნერგოთ და შევინარჩუნოთ შიდა კონტროლი თაღლითობისა და ცდომილების აღმოსაჩენად.

6. შეგატყობინეთ ისეთი კანონებისა და რეგულაციების დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ყველა ცნობილი შემთხვევა, რომლის ეფექტიც უნდა იყოს გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. გარდა ამისა, ასევე შეგატყობინეთ და სრული ფასს-ების მიხედვით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოვიხსენიეთ ყველა ცნობილი და პოტენციური დავა და სარჩელი, რომელთა ეფექტი არის გასათვალისწინებელი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

8. ჩვენ შეგატყობინეთ, ჯგუთან დაკავშირებული მხარეების ვინაობა, ურთიერთობები და ტრანზაქციები, რომელთა შესახებაც გვაქვს ცნობები და ყველა ასეთი ურთიერთობა და ტრანზაქცია არის აღრიცხული და განმარტებული ფასს-ის მიხედვით.

9. ამ წერილის დანართში არის ბასს 24-ის მიხედვით დაკავშირებული მხარებისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განმარტებები.

დებულებები მენეჯმენტის განზრახვასა და გეგემებზე და სხვა ინფორმაცია, რომელიც ცნობილია მხოლოდ მენეჯმენტისათვის

i. გაყიდვის ყველა ტრანზაქცია არის საბოლოო და არ არსებობს გვერდითი შეთანხმებები კლიენტებთან, რომლებიც შეძენილი საქონლის დაბრუნების საშუალებას იძლევა, გარდა სტანდარტული გარანტიებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ჯგუფის აქტივებზე არ არის გირაო ან ყადაღა. გარდა იმისა რაც უკვე წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ii. ვადასტურებთ, რომ მოგაწოდეთ სრული ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

სესხების საპროცენტო ვალდებულებები:

- ზარალი ტრანზაქციებიდან, რომლებიც არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- უზრუნველყოფად ჩადებული აქტივები;
- შეთანხმებები ფინანსურ ინსტიტუტებთან, რომელიც მოიცავს შეზღუდვებს ნაღდი ფულის ნაშთებზე ასევე საკრედიტო ხაზი და სხვა მსგავსი;

- ჯგუფი იცავს საკონტრაქტო შეთანხმებების ყველა ასპექტს, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დარღვევის შეთხვევაში.

iii. არ არსებობს ფორმალური ან არაფორმალური შეთანხმება მაკომპენსირებელი ნაშთის შესახებ.

iv. არ გვაქვს განზრახვები და გეგმები, რომელსაც შეუძლია გავლენა ჰქონდეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და კლასიფიკაციაზე.

დებულებები აქტივებზე უფლებაზე, კლასიფიკაციაზე, საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებაზე

v. ჯგუფს აქვს ფლობის უფლება ყველა აქტივზე.

vi. ვადასტურებთ, რომ ჩავატარეთ ბასს 36 *აქტივების გაუფასურების* შესაბამისი შემოწმება გაუფასურებაზე, მას შორის:

- საანგარიშგებო თარიღისათვის შევამოწმეთ გაუფასურებაზე ყველა აქტივი ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეული, რომლისათვისაც არსებობდა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ვადასტურებთ, რომ სათანადოდ შევაფასეთ, არსებობდა თუ არა ასეთი მინიშნება;
- მენეჯმენტისათვის მიწოდებული და მის მიერ აქტივებისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ჯგუფის დაგეგმვასთან და ბასს 36-ისა და ფასს 13-ის მოთხოვნებთან.
- შეფასდა საბაზრო ვითარებები, რომლებიც წამოიჭრება საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, რათა დადგენილიყო იყო თუ არა ისინი მაკორექტირებელი მოვლენები, რაც თავის მხრივ გამოიყენება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ან გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას;

ვადასტურებთ, რომ მოგაწოდეთ სრული რელევანტური ინფორმაცია ბასს 36-ისა და ფასს 13-ის მიხედვით გაუფასურებაზე შემოწმებასთან დაკავშირებით, მათ შორის ძირითადი დაშვებები და შეფასებები.

- ***ფინანსური აქტივები***

vii. ჩვენ შევაფასეთ ყველა ფინანსური აქტივი, რათა დაგვედგინა არსებობდა თუ არა ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა, რომელიც შედეგად მოჰყვა ერთ ან მეტ მაზარალებელ მოვლენას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი გაუფასურება აღიარებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში. რაც შეეხება ინვესტიციებს წილობრივ ინსტრუმენტებში, გაუფასურების ზარალი ვაღიარეთ, როდესაც იყო განგრძობითი ან მნიშვნელოვანი ვარდნა სამართლიანი ღირებულების ფასზე დაბლა. განგრძობითი და მნიშვნელოვანი ვარდნის განსაზღვრა მოხდა თქვენთვის მოწოდებული კრიტერიუმების მიხედვით.

დებულებები გარე მხარეების მიერ დაწესებული კაპიტალური მოთხოვნების შესრულების შესახებ

viii. ვადასტურებთ, რომ პერიოდის განმავლობაში ვასრულებდით გარე მხარეების მიერ დაწესებულ მოთხოვნებს ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დებულებები ჯგუფზე მოქმედ ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილ რისკებზე

ix. ვადასტურებთ, რომ მოგაწოდეთ სრული ინფორმაცია ჯგუფზე მოქმედ რისკებზე, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომელიც არის საკმარისი და ადეკვატური ჯგუფზე ფასს 7-ის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედი რისკების შესაფასებლად, მათ შორის მოქმედი რისკები, მათი წარმოქმნა, ჩვენი მიზნები, რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რისკების გაზომვის მეთოდები და რიცხობრივი მონაცემები.

- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადოდ არის წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტებისგან წარმოქმნილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციები და ინფორმაცია უზრუნველყოფაზე.
- გარდა ამისა, რიცხობრივი მონაცემები სათანადოდ წარმოადგენს პერიოდის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტებისაგან წარმოქმნილი რისკების მოქმედებას ჯგუფზე.
- არ არის ფულადი სახსრების გასავალი, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ვიდრე მითითებულია შეჯამებული რიცხობრივ მონაცემებში ჯგუფზე მოქმედი ლიკვიდურობის რისკის შესახებ ან რომელიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად განსხვავებული მონაცემებში მითითებული თანხისაგან.

დებულებები საგადასახადო ნაშთებთან დაკავშირებით

x. ჩვენ არ მიგვიღია რჩევა ან მოსაზრება, რომელიც ეწინააღმდეგება ჯგუფის მიერ გადასახადებისათვის აღრიცხვას, ეწინააღმდეგება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანხებს ან მოსაზრებები გადასახადებთან მიმართებაში, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიერ გადასახადების დარიცხვაში გასარკვევად, რომელიც არ შეგვიტყობინებია თქვენთვის.

სხვა დებულებები

სამუშაო ვალუტა

xi. ჩვენ განვიხილეთ თუ რომელი ვალუტა გამოიყენება ჯგუფის ძირითადი საქმიანობისას (ე.წ. „სამუშაო ვალუტა“). სამუშაო ვალუტის შერჩევისას ჩვენ

შევეცადეთ შეგვერჩია ისეთი ვალუტა, რომელიც მაქსიმალურად ობიექტურად წარმოაჩენდა ჯგუფის ძირითად ოპერაციებს, ჯგუფში განვითარებულ მოვლენებს და მასში არსებულ ვითარებას. ზემოხსენებულის გათვალისწინებით ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი.

xii. ჯგუფს არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბერს.

xiii. ჯგუფს არ გააჩნია დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნა შპს „ვი თი ჯგუფის“ მიერ შპს „ჯი სი ჯი“-ზე გაყიდულ აქტივებთან დაკავშირებით. ტრანზაქცია განხორციელდა 2024 წლის იანვარში.

xiv. ჯგუფს არ გააჩნია დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნა ინვესტიციებზე სხვა წილობრივ ინსტრუმენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

xv. ჯგფმა ვერ მოიპოვა მეკავშირე საწარმოს შპს „ბლუბერი“-ს აუდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

xvi. ჩვენ ვადასტურებთ რომ ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) შესაბამისობაშია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

xvii. ჯგუფი ფლობს საინვესტიციო ქონებას, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია თვითღირებულებით: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 956,675 ლარი (2023: 892,031 ლარი). *ბასს 40 საინვესტიციო ქონება* მოითხოვს სამართლიანი ღირებულების გამჟღავნებას საინვესტიციო ქონებისთვის, რომელიც აღრიცხულია თვითღირებულებით. ჯგუფს არ დაუდგენია საინვეტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება.

დებულებები მენეჯმენტის ძირითად შეფასებებსა და დაშვებებთან მიმართებაში მოწოდებული ინფორმაციის სისრულესთან დაკავშირებით

ჩვენ ვადასტურებთ, რომ სრულად მოგაწოდეთ სათანადო ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მენეჯმენტმა მიიღო კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს, რომლებიც არ ითვალისწინებს დაშვებებს, და რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე;
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და რეკლასიფიკაციაზე;
- მომავალთან დაკავშირებულ მთავარ დაშვებებზე, ისევე როგორც, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის შეფასების განუსაზღვრელობის სხვა წყაროებზე, რომლებიც შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში ქმნიან აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს.

პატივისცემით,

ალეკო სარქისოვი

ფინანსური დირექტორი

ა. სარქისოვი

შპს ვი თი ჯგუფი-ის მენეჯმენტის წარმომადგენლობითი წერილის დანართი

განმარტებები

ფინანსური ანგარიშგება

ბასს 1.10 განმარტავს, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი შედგება:

- კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის ბოლოს მდგომარეობით;
- კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება პერიოდის განმავლობაში;
- კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ პერიოდის განმავლობაში;
- ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება პერიოდის განმავლობაში;
- კონსოლიდირებული შენიშვნები, რომელიც მოიცავს ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკის შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას;
- კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი ყველაზე ადრეული შედარებითი პერიოდისთვის, როცა ჯგუფი სააღრიცხვო პოლიტიკას ცვლის ან ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილების შესაბამის ცვლილებას ან რეკლასიფიკაციას ახდენს.

არსებითი საკითხები

წერილში შემავალი ზოგიერთი ინფორმაცია მხოლოდ არსებითი საკითხებით შემოიფარგლება. ბასს 1.7 და 8.5–ის თანახმად: არსებითი უზუსტობები და გამოტოვებები მნიშვნელოვანია თუ მათ, ცალკე ან ერთად აღებულებს, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. არსებითობა დამოკიდებულია უზუსტობის ან გამოტოვების ზომასა და ბუნებაზე, გარემო პირობების გათვალისწინებით. მათი ზომა ან ბუნება, ან მათი კომბინაცია შესაძლოა იყოს გადამწყვეტი ფაქტორი.

თაღლითობა

თაღლითურად შედგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში შედის წინასწარ განზრახული უზუსტობები, მათ შორის თანხების ან ფინანსურ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაციის გამოტოვება კონსოლიდირებული ანგარიშგებით მოსარგებლე პირების შეცდომაში შესაყვანად.

აქტივების მითვისება მოიცავს ორგანიზაციის აქტივების მოპარვას. მას ხშირად თან ახლავს არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ჩანაწერები ან დოკუმენტები იმ აქტივების დასამალად, რომელიც აკლია ან სათანადო ავტორიზაციის გარეშეა დაგირავებული.

ცდომილება

ცდომილება არის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში არსებული შეცდომა წინასწარი განზრახვის გარეშე, მათ შორის თანხის ან წარდგენის გამოტოვება.

წინა პერიოდის შეცდომები ან გამოტოვებები, ან უზუსტობები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთი ან მეტი პერიოდისთვის, რომელიც გამოწვეულია იმ სანდო ინფორმაციის გამოუყენებლობით ან არასწორი გამოყენებით, რომელიც:

ა) ხელმისაწვდომი იყო მაშინ, როცა იმ პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვა გაიცა; და

ბ) მოსალოდნელია, რომ მათი მიღება და მათთვის ანგარიშის გაწევა მოხდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარმოდგენისას.

ამგვარ ცდომილებებში შედის მათემატიკური შეცდომის ეფექტები, საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას დაშვებული შეცდომები, ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია, და თაღლითობის უყურადღებოდ დატოვება.

მენეჯმენტი

ამ წერილის მიზნებისათვის „მენეჯმენტის“ ქვეშ მოიაზრება მენეჯმენტი და სადაც შესაფერისია - ისინი, ვისაც აკისრია მართვის ფუნქცია.

დაკავშირებული მხარე

განმარტება

დაკავშირებული მხარე - მხარე არის დაკავშირებული თუ ის:

a) პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან რამდენიმე შუამავალის გავლით მხარე:

i) აკონტროლებს, კონტროლდება ან საერთო კონტროლის ქვეშაა ჯგუფთან ერთად (ეს მოიცავს სათავო საწარმოს, შვილობილს ან საერთო სათავოს სხვა შვილობილს);

ii) აქვს წილი ჯგუფში ან აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა; ან

iii) აქვს ჯგუფის კომპანიებზე ერთობლივი კონტროლი;

b) მხარე არის ჯგუფის კომპანიის მეკავშირე საწარმო (ბასს 28 *ინვესტიციები მეკავშრე საწარმოშის მიხედვით*);

c) მხარე არის ისეთი ერთობლივი საქმიანობის მონაწილე, სადაც ჯგუფიც არის მონაწილე (ბასს 31 - *ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა*);

d) მხარე მიეკუთვნება ჯგუფის ან მისი სათავო საწარმოს მენეჯმენტის მნიშვნელოვან ფიგურებს;

e) მხარე არის (a) or (d) მოხსენებული ნებისმიერი ინდივიდის ახლო ოჯახის წევრი;

f) მხარე არის ჯგუფი, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან იმყოფება (a) or (d) მოხსენებული ნებისმიერი ინდივიდის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ ან რომლის ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება პირდაპირ ან არაპირდაპირ (a) or (d) მოხსენებული ნებისმიერი ინდივიდთან.

g) მხარე არის მუშაობის შემდეგი სარგებლის გეგმა კომპანიის თანამშრომლებისათვის, ან რომელიმე სხვა კომპანიისათვის რომელიც პირველი კომპანიის დაკავშირებული მხარეა.